# საერთო გაზეთი

№19 (569) • 8 ივლისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## ვერავინ დაასახელებს ბიძინა ივანიშვილის მიერ გადადგმულ ვერც ერთ ნაბიჯს, რომელიც ცხადყოფს, რომ ის პუტინის მოკავშირეა

## კელი დეგნანის წინასწარმეტყველებანი

რუსეთი თუ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ჩაერევა, ცხადია, ჩაერევა ოპოზიციის სასარგებლოდ, თორემ „ქართულ ოცნებას“ პუტინის დასახმარებელი არაფერი ჭირს



## ლევან მამალაძის ღია წერილი ქართველ საზოგადოებას





სააკაშვილის მიერ შეთითხნილი ცრუ ბრალდებების გამო 17 წელიწადია დევნილობაში ვარ.
გთხოვთ, დამეხმაროთ, დავბრუნდე სამშობლოში!



დევი ჭანკოტაძე ერთ-ერთი იმ ნაძირალათაგანია, რომლებმაც მთელი სამხედრო ტექნიკა უბრძოლველად ჩააბარეს რუსებს

## ღია წერილი

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს



## „ტელევიზიონშჩიკების“ ახალი თაობა ჭუტა, კეზერა, ქორიკა







## ქათმების ფერმა, სადაც რამდენიმე გაფხორილი ყვერული დარბის

## კანონი გარყვნილთა ტოტალური დიქტატურის დასამყარებლად

# ქათმების ფერმა, სადაც რამდენიმე გაფხორილი ყვერული დარბის



















**ვახტანგ ხარჩილავა:**

ორშაბათი, 29 ივნისი, ისტორიული დღეა.

ისტორიულია ის არა მხოლოდ იმით, რომ ამ დღეს საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები დაამტკიცა, არამედ ისტორიულია, პირველყოვლისა, იმითაც, რომ ეს დღე ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციის სრული „გაფარჩაკების“ დღეა.

ეს დღე, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ და „ნაცმოძრაობა-2“-ის, რომელიც „ევროპული საქართველოს“ ფსევდონიმით „მოღვაწეობს“ პოლიტიკურ ასპარეზზე, საბოლოო დასასრულის დასაწყისის დღეა, რომელიც ოქტომბრის არჩევნებში აუცილებლად დამთავრდება მათი კატასტროფული დამარცხებით.

„ნაცებო“ და „ევრონაცებო“, გათახსირებულები და უსინდისოები რომ იყავით, კი ვიცოდი, მაგრამ ამ „სიკეთეებთან“ ერთად ამ მასშტაბის გონებაჩლუნგები და უნიჭოებიც თუ იყავით, ნამდვილად არ მეგონა.

ზოგიერთი თქვენგანი ოცი, ოცდახუთი, ოცდაათი წელია პოლიტიკაშია და ამ დროს როგორ გათრიათ, როგორ გამასხარავათ, როგორ გაგაბანძათ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“?

პოლიტიკაში საქმიანობის მრავალწლიანი სტაჟის მიუხედავად, ნუთუ იმდენად უნიჭოები და გონებასუსტები ხართ, რომ ვერაფერი ისწავლეთ, ვერაფერი შეითვისეთ, გარდა ავაზაკობისა?

სხვას რომ ეძახდით უნიათოს, თქვით, აღიარეთ ახლა, სინამდვილეში ვინ ყოფილა უნიათო?

უნიათო და უტვინო...

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ერთ „აღმოჩენამდე“ მიმიყვანა: მთელი ეს „ნაცმოძრაობა“ თავის „ევრონაცებიანად“, თუ მისი კვერცხუჯრედიდან გამოჩეკილი სხვა „იაჩეიკებიანად“ სრული არარაობა, სრული ბალასტი ყოფილა მიხეილ სააკაშვილის გარეშე. მიხეილ სააკაშვილის გარეშე პოლიტიკურად ერთმანეთის მიყოლებით მოკვდნენ და მიიცვალნენ ყველანი, აქამდე თავი ტალეირანებად და მაკიაველებად რომ მოჰქონდათ,

თურმე ის უსხამდა ამ უსისხლოებს ძარღვებში თავის ცოფიან სისხლს, ის ასაზრდოებდა და არწყულებდა თავისი შლეგური ენერგიით ამ პოლიტიკურ იმპოტენტებს, თორემ ესენი ცვედნები ყოფილან.

წავიდა მიშა და მთელი სანაცეთი ქათმების მოკრიახე ფერმას დაემსგავსა, სადაც რამდენიმე გაფხორილი ყვერული დარბის და მამლის ფუნქციის შესრულებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ — როდის ყოფილა ყვერულს მამლად ევარგოს?

ვერც ერთმა ვერ ივარგა ამათგან ლიდერად და წინამძღოლად, ან რომელს უნდა ევარგა — ბოკერიას, რომელსაც ისე მოეშვა კისრის ხრახნები, რომ თავი ტარაბუასავით უტრიალებს? ოქრუაშვილს, რომელსაც ისე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი ჩაშვების ინსტინქტები, რომ საკუთარ თავსაც ჩაუშვებს ხოლმე? დავით ბაქრაძეს, რომელიც მტერს დაინახავს თუ არა, იმწამსვე დანა-ჩანგლისკენ გაურბის ხელი? იქნებ, უგულავას, რომელიც ტრანსში ვარდება და აუდიტორიის ნაცვლად საკუთარ თავს ელაპარაკება ხოლმე? იქნებ, ნიკანორს, რომელიც თვითონ არის საკუთარი პარტიის ოპოზიცია, თუმცა ამის შესახებ თავად არაფერი იცის? იქნებ, გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც კაზაკების ატამანს ჰგავს და ქართულს რუსულად უქცევს დღემდე?

„ნაცევრონაცებმა“ თვითონვე გამოუტანეს საკუთარ თავს განაჩენი და თავიანთ პოლიტიკურ მომავალს მაშინ დაუსვეს წერტილი, როცა განაცხადეს, რომ, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხოლოდ იმ პირობით დაუჭერდნენ მხარს, თუ გიორგი რურუას ციხიდან გამოუშვებდნენ.

— ის გამოვა, ჩვენ შევალთო, — განაცხადა პოლიტიკოსმა (!) რომან გოცირიძემ.

გოცირიძე, რა თქმა უნდა, პარლამენტში შესვლას გულისხმობდა, თორემ, ციხეში შესასვლელად ეგ რომ ვერ ივარგებს, თვითონაც კარგად იცის.

რურუა ვერ გამოვიდა და ესენიც არ შევიდნენ სხდომაზე — რურუას გათავისუფლებამდე ჩვენ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთო. განა არ გვინდა, ამ ცვლილებებს მხარი დავუჭიროთო, ამ ცვლილებებზე ვოცნებობთ რამდენი ხანია, მაგრამ რურუას გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობას არ ვიკადრებთო, — გაკერპდნენ და გაჯიქდნენ „ნაცევრონაცები“.

— ეგრე რომ მოვიქცეთ, არაქურდულია, ძმაოო, — ერთი ეგ არ უთქვამთ ხმამაღლა, მაგრამ თქმა რად უნდოდა — ცხადია, ქურდულს აწვებოდნენ და დიდი ჟორიკას წინაშე თავს იწონებდნენ და ქულებს იწერდნენ.

აკი, პოლიტიკოსები ვართო, ხალხის რჩეულები ვართო და ამ დროს ქურდულ კარიერაზე ოცნებობდით?

საოცნებო და სანატრელი რა გქონდათ — 25 წელია, ისედაც ქურდებად ზიხართ ქართულ პოლიტიკაში და „პრავას აკაჩავებთ“, ჟორიკაზე ნაკლები რით ხართ, თუ მეტი არა?

„ნაცევრონაცებო“, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციის ცვლილებების კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეთ, თქვენ, ფაქტობრივად, მორალური უფლება არ გაქვთ, იმ არჩევნებში მიიღოთ მონაწილეობა, რომელიც ამ კენჭისყრის შედეგად მიღებული წესებით უნდა ჩატარდეს.

ჯობია, იმ ციხის კარებთან დასხდეთ, სადაც გიორგი რურუა ზის და მის გამოსვლას დაელოდოთ. — ეგ არის ახლა თქვენი ბოსი, თქვენი ლიდერი და სანამ ეგ „სვაბოდაზე“ არ გამოვა, რა აზრი აქვს თქვენს ფაფხურს და მანჭვა-გრეხვას?

რაც შეეხება რურუას ციხიდან გამოსვლას, თუ ქართულმა მართლმსაჯულებამ ივაჟკაცა, თქვენი ლიდერი გარეთ შეიძლება ძალიან, ძალიან დიდხანს ვერ გამოვიდეს, მაგრამ არა უშავს, დასხედით და დაელოდეთ.

თვითილუსტრაცია, თვითაღიარება ჰქვია იმას, რაც „ნაცევრონაცებს“ რურუასთან დაკავშირებით დაემართათ.

ჩხრიკეს, ჩხრიკეს და რურუას აპეკუნობაში საფლავებიდან ის ცხედრები ამოყარეს, რომლებმაც ყველაფერი იციან, ყველაფერი ახსოვთ, მათ შორის ისიც ახსოვთ, ვინ არის ჟორიკა რურუა და ვინ ხართ თქვენ.

ტყუილად გგონიათ თქვენ, „ნაცევრონაცებო“, რომ ცხედრები, რადგან საფლავებში წვანან, არ მოქმედებენ და შურისძიებაზე არ ფიქრობენ.

ცოცხლებმა შეიძლება დაგინდონ, მაგრამ მიცვალებულები არ დაგინდობენ.

ადრე თუ გვიან, ისინი აუცილებლად წამოგეწევიან და მწარედ გაზღვევინებენ ყველაფრის გამო.

— სიძულვილის ენით გველაპარაკებიანო, — წუხან „ნაცევრონაცები“.

თქვენ, ათასი საშინელი ცოდვის ჩამდენებს, აბა, როგორ უნდა გელაპარაკოთ — ენა მოგიჩლიქოთ, თავზე ხელი გადაგისვათ და ფოჩიანი კანფეტები მოგართვათ?

სიძულვილის ენით გელაპარაკებიან კი არა, სადაც სამართალია, თქვენ საერთოდ არ უნდა ჭაჭანებდეთ ქართულ პოლიტიკაში, თქვენ საერთოდ ვერ უნდა ბედავდეთ ხმის ამოღებას და ხალხში გამოჩენას.

ბოლო დროის მოვლენებით თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ თქვენ არ ხართ პოლიტიკოსები, თქვენ ხართ ჩვეულებრივი მოძალადეები, თქვენ ხართ ახალი დროის „მხედრიონი“, იმ ძველ „მხედრიონზე“ გაცილებით უარესები და ვერაგები.

●

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, „ნაცევრონაცებს“ ამ არჩევნებში სრული ფიასკო ელით.

სრული ფიასკო ელით მათთან მიტმასნილ სხვა პარტიებს თუ ცალკეულ პერსონებს.

არჩევნებამდე დარჩენილ ამ რამდენიმე თვეში ისეთი რა უნდა ჩაიდინოს „ქართულმა ოცნებამ“, ისეთი რა შეცდომები უნდა დაუშვას, რომ ამ ნულამდე რეიტინგდავარდნილ და ძირგავარდნილ ოპოზიციურ პარტიებს გამარჯვების რაღაც მინიმალური შანსი მაინც გაუჩნდეთ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ვერ დამისახელებთ ბიძინა ივანიშვილის მიერ გადადგმულ ვერც ერთ ნაბიჯს, რომელიც ცხადყოფს, რომ ის პუტინის მოკავშირეა

*გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:*



**— ბატონო ვაჟა, საარჩევნო სისტემა ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხია. მესამე მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებები დამტკიცდა. რა მოცემულობის წინაშე ვართ, რა მოლოდინები გაქვთ?**

— როგორც ჩანს, საქართველოში შერეული მოდელი ზუსტად ვერ ასახავს მოსახლეობის განწყობებს. ამიტომ, მიიღეს გადაწყვეტილება მის შეცვლაზე, რაც ჩემი აზრით სწორია, რადგან მაჟორიტარების არჩევის პრაქტიკა, ამა თუ იმ რეგიონში, ბევრ ხარვეზს შეიცავდა. მეტი ფინანსური შესაძლებლობების პირები გამარჯვებას აზერხებდნენ. მაჟორიტარების უმეტესობა ბიზნესის წარმომადგენელია. ბიზნესის წარმომადგენელი საქართველოში პოლიტიკაში მიდის არა იმის გამო, რომ თავი ახალ სარბიელზე გამოსცადოს და მეტი სარგებელი მოუტანოს ქვეყანას, არამედ საკუთარი ბიზნესის და ქონებრივი მდგომარეობის დასაცავად. ამიტომ, ასეთი მიდგომა მიუღებლად ჩაითვალა. ვთვლი, რომ ამჯერად შემოთავაზებული მოდელი, რომელიც უფრო პროპორციულია, მომავალ პარლამენტში ძალებს მეტად სამართლიანად და ადეკვატურად გადაანაწილებს. ამიტომ, ჩვენ, ამ ცვლილებებს როგორც წინგადადგმულ ნაბიჯს მხარი უნდა დავუჭიროთ. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ შედეგების თვალსაზრისით, არ მგონია უფრო მეტად ეფეტური პოლიტიკური სისტემა მივიღოთ, რადგან დღეს არსებული ვითარება გულისხმობს, რომ წამყვან პოლიტიკურ ძალებს არ აქვთ საზოგადოების ის მხარდაჭერა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს საარჩევნო პროცესი წარმატებით გადალახონ და ქმედუნარიანი მთავრობის ჩამოყალიბება შეძლონ.

**— რა შანსები აქვს მმართველ პარტიას?**

— მმართველი ძალა, ყველა სოციოლოგიური გამოკითხვით წინასაარჩევნო მარათონის უპირობო ლიდერია. მას საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე მეტი ხმების მოპოვების პერსპექტივა აქვს, მაგრამ ეს ხმები 50%-ზე მეტი, სავარაუდოა, რომ არ იქნება. თუ დავაკვირდებით, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია არ ტოვებს ისეთი პოლიტიკური ძალის კამპანიის შთაბეჭდილებას, რომელსაც უეჭველი გამარჯვება აქვს მიზნად დასახული. თითქოს, მეჩვენება, რომ ივანიშვილი შეგუებულია მომავალ პარლამენტში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების პერსპექტივას. ოღონდ, მან, ამ ეტაპზე არ იცის ვისთან ერთად შექმნის კოალიციურ მთავრობას. „ნაციონალებთან“ მისი თანამშრომლობა წარმოუდგენელი და შეუძლებელია, „ევროპულ საქართველოსთან“ ეს ორივე მხარისთვის იქნება დიდი უხერხულობის და დანაკარგების შემცველი. ასევე, ივანიშვილი არც „პატრიოტთა ალიანსთან“ ჩამოაყალიბებს ალიანსს. აქედან გამომდინარე, მან ჯერ კონკრეტულად არც იცის რომელ პოლიტიკურ ძალასთან შეიძლება შეკრას კავშირი მომავალ პარლამენტში. იქნება თუ ხელისუფლებაში მოსვლის ამბიციის მქონე პოლიტიკური ძალები რეალურ საარჩევნო კამპანიას დაიწყებენ, მიუხედავად ზაფხულისა, კორონა ვირუსის გამო დაწესებული შეზღუდვებისა და საზოგადოებას მომავლის ქვეყნის პოზიტიურ ხედვას შესთავაზებენ. მათ მკაფიოდ უნდა გვითხრან: რის გაკეთებას აპირებენ იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ქვეყანაში, ყველა მიმართულებით, არსებობს. აი, რას ელის ხალხი, მაგრამ არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის მხრიდან, ამ მიმართულებით, ხედვები არ ჩანს. ერთადერთი, შეიძლება გავიხსენოთ „სტრატეგია აღმაშენებელი“, რომლის ავტორიც გიორგი ვაშაძეა. მაგრამ როდესაც ამ პლატფორმის ავტორი ონში ჩადის და იქ, წყალვარდნილების კასკადის აშენების წინააღმდეგ გამოდის, ეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ავტორის პოზიცია კი არა, არამედ უფრო სტაგნაციის მიმდევარი პოლიტიკოსის პოზიციაა. რა თქმა უნდა, ბუნებაზე ზემოქმედება ყველა შემთხვევაში მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული, მაგრამ თუ ამ მშენებლობის პროცესს და ინვესტიციების შემოსვლას ყველა მიმართულებით წინ აღვუდგებით, ეს კრიჭაში ჩადგომას უფრო ჰგავს და არა რაღაც სტრატეგიის ნაწილს. ვერ ვხედავ პოლიტიკოსებისგან მიდგომებს, კონცეფციებს, რომელთა შეჯერება უნდა ხდებოდეს მედიის მეშვეობით, რათა ქართველმა ხალხმა გააკეთოს გაცნობიერებული არჩევანი და ისეთ ძალას დაუჭიროს მხარი, რომელიც ქვეყანას წინ წაიყვანს. ამიტომ, საყოველთაო სკეფსისი მიძლიერდება — წინა არავითარი სახარბიელო არ გველის. ხელისუფლება არ ცდილობს მოახდინოს საზოგადოების იმ ნაწილის მობილიზება რომელიც მას მხარს უჭერს, მიიმხროს მათ მიმართ კრიტიკულად განწყობილი, მათ შორის, ყოფილი მხარდამჭერები და აღადგინოს ის ჩატეხილი ხიდი, რომელიც მასსა და საზოგადოებას შორის შეიმჩნევა ბოლო 3–4 წელია. კარგად რომ ჩაუკვირდეთ ვერ მიხვდებით ქვეყნის მოსახლეობის რომელ ნაწილს წარმოადგენს „ქართული ოცნება“, რა მიმართულების პარტიაა, რა ხედვები აქვს. როცა საუბარია რა პოლიტიკური გეზი და კურსი უნდა ავიღოთ, ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან.



**— რა არჩევანის წინაშე დგას ქართული საზოგადოება?**

— ქართულ საზოგადოებას ძალიან მძიმე, რთული არჩევანი აქვს გასაკეთებელი, ფაქტობრივად, ასეთ სუსტ, გაუგებარ, ბუნდოვან მდგომარეობაში მყოფ „ქართულ ოცნებასა“ და ჭრელ ოპოზიციას შორის, სადაც უფრო პირად ამბიციებზე დამყარებული გეგმები დომინირებს, ვიდრე ერთიანი ხედვა ქვეყნის გადასარჩენად. არადა, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ქართული საზოგადოების უმრავლესობისთვის „ნაცმოძრაობისა“ და მისი მოკავშირეების, ეს ფაქტობრივად ერთიანი ფრონტია, ხელისუფლებაში დაბრუნება კატეგორიულად მიუღებელია. ეს კიდევ უფრო კრიტიკულ და მძიმე სიტუაციას გვიქადის. რაც შეეხება პრო-რუსულად მონათლულ ძალებს, ვერც მათ საქმიანობაში ვერ ვხედავ საქართველოს განვითარების ვერანაირ პერსპექტივას გარდა იმისა, რომ ისინი მოითხოვენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას. მაგრამ ეს ქვეყნისთვის რისი მომტანი იქნება, ამის თაობაზე არ საუბრობენ. ახალი პარტიების ჩამოყალიბებისთვის, რომელთაც განსხვავებული ხედვები ექნებათ, სივრცე არის, მაგრამ ამას სჭირდება ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი — ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი, რაც უკიდურესად შეზღუდულია. ასე, რომ ვითარება საკმაოდ დამაფიქრებელია. უფრო მძიმე სიტუაციაც დაგვიძლევია და იმედი ვიქონიოთ ამასაც დავძლევთ.

**— ახლა, პრო-რუსული ძალები ახსენეთ. რამდენად ეცდება რუსეთი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ჩაერიოს და სიტუაცია არიოს?**

— რუსეთი, რა თქმა უნდა, საქართველოს საქმეებში ერევა. იგი რუსული ანალიტიკური ცენტრებისა და სპეცსამსახურების სამიზნეა. რუსეთისთვის სულერთი არ არის რა მოხდება საქართველოში. იგი ერევა აშშ-ს არჩევნებში, ბრიტანეთში არსებულ პროცესებში, საფრანგეთის საქმეებში და ა.შ. წარმოუდგენელია, არ ერეოდეს საქართველოს საშინაო საქმეებში და არ ჰქონდეს ჩვენთან მიმართებაში გარკვეული ხედვები. ქართველებს გვახასიათებს გულუბრყვილობა, ზედაპირული მსჯელობა. ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ რუსეთი თავისი ინტერესების გამტარებლად საქართველოში პრო-რუსულად მიჩნეულ პარტიებს მოიაზრებს. ბევრი ფიქრობს, რომ რუსები აქ, ამ პარტიების იმედად არიან. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ დავეთანხმები. რა თქმა უნდა, არ ვიზიარებ რიგი პოლიტიკოსების მოსაზრებას, თითქოს, ივანიშვილი პუტინის მოკავშირეა. ივანიშვილს აქვს თავისი ხედვა, პოზიცია, დამოკიდებულება. მას მიაჩნია, რომ ჩვენ, არ შეგვიძლია რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკით რაიმე არსებითი შედეგის მიღწევა. იგი ფრთხილია, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ იგი კავკასიაში პუტინის მოკავშირეა. ვერ დამისახელებთ ივანიშვილის მიერ გადადგმულ ვერცერთ ნაბიჯს, რომელიც ცხადყოფს, რომ იგი რუსეთის მოკავშირეა. ვიღაცამ შეიძლება ერთადერთ არგუმენტად ანაკლიის პორტის თემა მოიტანოს, რომლის მშენებლობა აღარ მიმდინარეობს. ეს ასე არ არის. ანაკლიის პროექტი თავისი არსით არ არის ეკონომიკური პროექტი. იგი გეო-სტრატეგიული, გეო-პოლიტიკური პროექტია, რომლის დაფინანსება და კომერციული რისკების აღება ქართულ სახელმწიფოს, ელემენტარულად, არ შეუძლია. სხვა არგუმენტი ივანიშვილის რუსეთთან მოკავშირეობისა, ბუნებაში არ არსებობს. რასაც ივანიშვილი აკეთებს, არ მგონია, რომ საქართველოსთან და კავკასიასთან მიმართებაში, რუსეთის ინტერესებში ჯდებოდეს. რუსეთის ინტერესებში, უპირველესად, შედის სიტუაციის დესტაბილიზაცია კავკასიაში, რათა მას შემდეგ შესაძლებლობა მიეცეს უფრო აქტიურად ჩაერიოს დესტაბილიზებულ რეგიონში, დაალაგოს სიტუაცია და აქ, სასურველი ხელისუფლებები დასვას. რუსეთი საქართველოში, რა თქმა უნდა, პატარა მარიონეტების თეატრივით არის. ამ თეატრში მის სასარგებლო როლს ბევრი პოლიტიკოსი ასრულებს. შედეგის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე ორი სამხედრო ბაზის დადგმას, ოკუპაციის გაფორმებას და მის მიერ მარიონეტული რეჟიმების აღიარებას, ხელი შეუწყო არა რომელიმე პრო-რუსულმა ძალამ, არამედ ანტირუსული რიტორიკით გამორჩეულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ. რიგ პოლიტიკოსებს, ხშირად, მიჰყავთ სიტუაცია დაუსაბუთებელი კომფრონტაციისაკენ, რასაც სასიკეთო არაფერი მოყვება, რადგან დასავლეთი საქართველოს რეალური მხარდაჭერისთვის ვერ მოიცლის. მან ეს ვერ გააკეთა 2008 წელს და ვერც დღეს შეძლებს, როდესაც აშშ-ში ურთულესი პროცესები მიდის. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, რუსეთს აქვს რამდენიმე სცენარი საქართველოსთან მიმართებაში. ეს უნდა გავითვალისწინოთ, რადგან შესაძლოა რუსებისთვის უფრო ხელსაყრელი იყოს საქართველოს ხელისუფლებაში „ნაცონალების“ და მათი მემკვიდრეების ყოფნა, ვიდრე პუტინის მოკავშირედ შერაცხული ივანიშვილის, რომელსაც პუტინისთვის ხელსაყრელი არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გაიცანით ქართველი „ტელევიზიონშჩიკების“ ახალი თაობა: ჭუტა წერეთელი, დავით კეზერაშვილი, ჟორიკა რურუა

## თანამედროვე „ჟურნალისტიკის“ საფუძვლები

პირდაპირ ვაცხადებ: საქართველოში ჟურნალისტიკის 90% ხელში ჩაიგდეს ავანტიურისტებმა, ავადმყოფებმა, გაუნათლებლებმა, უვიცებმა და შტერებმა!

მეგობრებო, რასაც დღეს უყურებთ და უსმენთ, ეს აღარ არის ჟურნალისტიკა, ამას შეიძლება ვუწოდოთ (უკეთეს შემთხვევაში) „ჭურნალისტიკა“, ანუ გაუპატიურებული ხელობა, სადაც სრული დებილიზმია გამეფებული.

და რას ველოდით, როცა „რუსთავი 2“ ხელში ჩაუვარდა ნიკა (ჩაჯვი) გვარამიას?!

და რას ველოდით, როცა თაღლითური გზით გამდიდრებულმა მეთუთუნე ავთო (ჭუტა) წერეთელმა ე.წ. ტელევიზია შექმნა და პატიოსნებასა თუ სამართლიანობაზე დაგვიწყო ლექციების კითხვა?!

და რას ველოდით, როცა ცალცალი „კალოშებით“ მოსულმა, ვინმე დავით კეზერაშვილმა მილიარდები აგვწაპნა, საქართველოდან „გაშპა“, მერე ამავე საქართველოში საკანალიზაციო არხი („ფორმულა“) შექმნა და იმის გარკვევას მიჰყო ხელი, საიდან აქვს ბიძინა ივანიშვილს ფული?!

არ გიკვირთ, დღეს ავაზაკი კეზერაშვილი და განგსტერი ჟორიკა რურუა რომ სწავლობენ ბიძინა




ივანიშვილის ფულის წარმომავლობას!

ავთო (ჭუტა) წერეთლის ე.წ. ტელევიზია ყოველ საღამოს გვიჩვენებს გაჭირვებულ ოჯახებს, ისაო, ესაო, ნახეთ ჩვენს მოსახლეობას როგორ უჭირს, ხალხი რა დღეშია, ეს ხელისუფლება უნდა დამთავრდესო, ბიძინა ივანიშვილი უნდა წავიდესო. ამ დროს ეს ბიძინა ივანიშვილი აშენებს, რგავს, აშენებს, მიდის, მოდის, არ ისვენებს, ხან ვის შველის, ხან ვის უხდის, ხან ვის სტაცებს სიკვდილს ხელიდან, ხან სად რიცხავს მილიონებს, ხან — სად. ჭუტა, სად კეზერა, სად ჟორიკა და მათნაირები, რომლებსაც ერთი ხე არსად დაურგავთ, ერთი ადამიანი არ გადაურჩენიათ, საზოგადოების სასარგებლოდ თითი თითზე არ დაუკარებიათ, გადმომდგარან (ეს ჩემისები) ე.წ. ტელევიზიების ეკრანებიდან და გულის ფიცარზე მჯიღებს იცემენ.

ესენი, ავანტიურისტების მიერ შექმნილი ე.წ. ტელევიზიები „ჭურნალისტების“ ხელით ცდილობენ, ყველა ფასეულობა თუ ღირებულება ყირაზე დააყენონ, ანუ ავი კარგად მონათლონ, ბოროტება სიკეთედ გაასაღონ, სიკეთე ბოროტებად წარმოაჩინონ... აი, მაგალითად, ჟორიკა რურუას წარმოჩენა რომ უნდათ პატრიოტად, წამებულ რაინდად და პოლიტიკურ პატიმრად, ისე. აქ მხოლოდ კრიმინალ ჟორიკაზე არ არის საუბარი, მომავალ თაობას, ახალგაზრდობას, გაუთვითცნობიერებელ და სეირის მოყვარულ საზოგადოებას თავებში უდებენ, რომ ბიძინა მოღალატეა, პუტინის კაცია, ქვეყანას ანგრევს, ხოლო რურუები, საკაშვილები, ვაშაძეები და ნათელაშვილები გმირები არიან, ისინი სჩადიან საგმირო საქმეებს და არც პუტინს უგორებენ წითელ კოჭებს. ამ დროს პირიქითაა, უკუღმაა, ამათ ააწიოკეს ქვეყანა, ესენი ხოცავდნენ ახალგაზრდებს, ესენი აუპატიურებდნენ და ართმევდნენ ქონებას ადამიანებს.

ამას წინებზე (სოფელში რომ ვიყავი ჩასული) ერთი მეკითხება: კაცო, გარეთ გამოვდივარ, ვხედავ, ბევრი რამე კეთდება — გზები, წყალი, გაზი, დენი, შევალ სახლში, ჩავრთავ ტელევიზორსა და ლაპარაკობენ, ქვეყანა ინგრევაო. სხვათა შორის, გლეხი კაცი არ უყურებს, ტელევიზორში ვინ ლაპარაკობს, არ ფიქრობს, ის მოლაპარაკე ჭკვიანია, სულელია, დებილია თუ დეგენერა-




ტი, მას ყველა მოლაქლაქე ჭკვიანი ჰგონია. ესე იგიო, თუ დებილია, ტელევიზორში რანაირად გამოჰყავთო? იმიტომ, რომ იმ ტელევიზიის შემქმნელი ავაზაკია, თავისი ინტერესები აქვს, ხელისუფლებაში უნდა მოსვლა, თაღლით სულელებს იყენებს, მაგალითად, ბადრი შუბლაძეს, ზვიად კუპრავას, გიორგი კაპანაძეს, ნატა ფერაძეს და მათნაირებს, ჭკვიანი კაცი მაგათთან არ დაჯდება, რომც დაჯდეს, აზრი არ აქვს, რაზე უნდა ილაპარაკოს-მეთქი? გლეხკაცს სჯერა ჩემი, თითქოს მენდობა, მაგრამ მომენტებში მაინც უჩნდება შეკითხვა, ტვინში მაინც უფუტფუტებს ეჭვის ჭია — თუ ეგეთი თაღლითები არიან, მა ტელევიზორში რათ გამოჰყავთო?

ათასჯერ დამიწერია და კიდევ ვწერ... მსოფლიო განვითარდა, ტექნოლოგიები განვითარდა, ადამიანების ცნობიერება წინ წავიდა, ამათ მაინც არაფერი ეშველათ, ისევ გებელსის დონეზე დარჩნენ და მისი თეორიით ხელმძღვანელობენ — გასვარე, დაე, იმართლოს თავი!

ჰოდა, ცდილობენ, გასვარონ ყველა და ყველაფერი თავიანთი საკანალიზაციო არხებით. აგერ, ტრაგედია მოხდა, ახალგაზრდა ფეხბურთელი (გიორგი შაქარაშვილი) შეიწირეს კრიმინალებმა, ეს ტრაგედიაა, ფრთხილად გამოსაძიებელი, რათა 17 დაპატიმრებულთაგან ვინმე უდანაშაულო არ მოხვდეს ციხეში. ესენი, ეს სააკაშვილის ლეკვები სამ საკანალიზაციო არხზე („მთავარი“, „ფორმულა“, „პირველი“) ქაქანებენ, ეძებენ, ბოდიალობენ, თავიანთ ვერსიებს აწყობენ, ცამოწმენდილზე გამოდიან და ყბედობენ, თურმე დაპატიმრებულები ბერა ივანიშვილის ძმაკაცები ყოფილან, ყველას ის მფარველობს, შანსი არ არის, ვინმე დაისაჯოსო. გაიგონეთ? ბერა ივანიშვილი, ბიძინას ვაჟი კრიმინალებს მფარველობსო. პრინციპში,




არ გამოუვიდათ ამ მხრივ შავი სკანდალის აგორება, ვერ გარიეს ბერა ამ საქმეში და ჩაავლეს მეორე საკბილოს: თურმე, ნუ იტყვით და... ფოტოგრაფი (იაკობ ბრეგვაძე), რომელიც იმ ავბედით დაბადების დღეზე გადასაღებად მიიწვიეს, დაიქირავეს, რომელმაც თავს გაქცევით უშველა და ახლა დაზარალებულადაა ცნობილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსის, ნინო გიორგობიანის ნათესავი ყოფილა — მამიდაშვილის შვილი. აი, აქ დაიწყეს როკვა ვინმე ზვიად კუპრავამ (თავის დროზე პოლიციიდან რომ გამოაგდეს, შემდეგ კი ხორავას ქუჩის ამბებში რომ აქტიურობდა, იქაც ამოჰკრეს პანჩური, ფული მოგვიტეხაო) და ვინმე გიორგი კაპანაძემ (გურამ დონაძის ხელის ბიჭმა, თანამდებობის პირებს რომ აშანტაჟებდა ხოლმე), არიქა, გიორგობიანი უნდა გადადგეს, თავის ნათესავ ფოტოგრაფს მფარველობსო. ერთი მომენტი გამოეპარათ უგუნურებს, ამ ბიჭმა თავს გაქცევით უშველა და ერთ-ერთი დაზარალებულია, ანუ არ არის დამნაშავე. ამათთვის ადამიანობა და თანაგრძნობა უცხოა, ესენი ვერ და არ აცნობიერებენ, რომ დაბადების დღეზე მყოფი ყველა პიროვნება დამნაშავე ვერ იქნება. ვინც არის, ის აუცილებლად დაისჯება.

დაუკვირდით, რა სახეები აქვთ ე.წ. ტელემედიის წამყვანებსა თუ ჟურნალისტებს (სინამდვილეში კი „ჭურნალისტებს“, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ჟურნალისტიკასთან), როგორი ჟესტებით ლაპარაკობენ, რა ლექსიკით მეტყველებენ და რანაირად იქცევიან კამერის წინ. სულ ქშინავენ, სულ ჩხუბობენ, სულ იღრინებიან, გეგონება ვალი გვქონდეს მაგათი და არ ვუბრუნებთ. შეხედავ ამ უპატრონოებს და ეგრევე მიხვდები, რომ სადღაც ტყეში არიან გაზრდილები.

პრინციპში, არც უნდა გვიკვირდეს, კეზერაშვილის, გვარამიას და ჭუტას დაქირავებული გოგო-ბიჭები როგორ შეიძლება ჟურნალისტები იყვნენ? არა და ვერ იქნებიან, რადგან ისინი მათივე წრიდან არიან შერჩეულ-აღზრდილნი.

ცხოვრების გაუკუღმართების მცდელობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი გახლავთ გიორგი (ჟორიკ) რურუას ამბავი — ტიპმა ლამის ნახევარი საქართველო ჩაახეტონა 1990-იან წლებში და ახლა მეუბნებიან, პატრიოტია, ეროვნული გმირია, პოლიტიკური პატიმარიაო. არ ვიცი, შეიძლება ახალგაზრდებს







არ ახსოვთ (ან კი რატომ არ უნდა ახსოვდეთ, ჩაიხედონ ქაღალდებში), მაგრამ ჩვენ, საშუალო თაობამ მშვენივრად ვიცით, ვინ რას წარმოადგენს ამ ქვეყანაში. წარსული ისეთი სალი კლდეა, რაც არ უნდა ეცადო, ვერაფერს ჩამოათლი, ვერაფერს მოაკლებ — რამდენიც არ უნდა იძახონ, რურუა ეროვნული გმირიაო, მაინც არაფერი გამოუვათ, ვერაფერს მიაღწევენ. კი, ბატონო, პირდაპირ ეთერში იჩხუბონ, თვალები პრაწონ, ხელები პარჭყონ, ტრაკიდან ორთქლი გამოუშვან, ჩვენ მაინც გვახსოვს და აზრს ვერავინ შეგვაცვლევინებს, ვერც ინგა, ვერც ირმა, ვერც კვესო, ვერც კვნესო და ვერც ნოდარა.

გინდათ გითხრათ, რა განსხვავებაა კეზერას, გვარამასა და ჭუტას „ჭურნალისტებს“ შორის? დავუშვათ, ადამიანი დგას ჯებირზე, რომელიც მდინარეში უნდა გადახტეს და თავი მოიკლას. გვარამას „ჭურნალისტი“ ჩაუსაფრდება, თუ დროზე არ გადახტა, ქვას ესვრის, თან შეაგინებს, შე ჩემა, არ გადაიფიქროო. კეზერას „ჭურნალისტი“ მივარდება, ჯერ იმის გარკვევას დაიწყებს, გადამხტომს რა აკავშირებს ბიძინა ივანიშვილთან, ბერა ივანიშვილთან ან უჩა მამაცაშვილთან. თუ არაფერი აკავშირებს, რამეს მაინც გამოიგონებს და ეგრევე ხელს ჰკრავს, ემანდ არ გადაიფიქროსო. ჭუტას „ჭურნალისტი“ ერთი ისეთს შეჰკივლებს, ადამიანი, რომელსაც თვითმკვლელობა აქვს გადაწყვეტილი, ჯებირზევე მოკვდება, გული გაუსკდება და იცით, მიზეზად რას დაასახელებს? ამ ადამიანს ძალიან უჭირდა და ბიძინა ივანიშვილი არ დაეხმარა.

ამ სამ საკანალიზაციო სისტემას ერთი მიზანი აქვს — შავი თეთრად უნდა წარმოაჩინოს, ხოლო თეთრი შავად. რატომ? იმიტომ, რომ ამ სამივე საკანალიზაციო სისტემას ჰყავს ბინძური მეპატრონეები და ესენი ცდილობენ, წარმოაჩინონ ციდან ჩამოფრენილებად. თუმცა, ცხადია, ვერც ჭუტა იქცევა პატიოსნების სიმბოლოდ, ვერც რურუა, ვერც გვარამა და ვერც კეზერა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არა მხოლოდ ქვეყანა, ქართული ჟურნალისტიკაც გაიწმინდოს თაღლითებისგან. მორჩა, წერტილი!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61





# „რუსული რულეტკა“

## „ნაცმოძრაობა“, თავის „ევრონაცებიანად“ რუსეთის მეხუთე კოლონაა?!

ხშირად გაიგონებთ — „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ცხრა წელიო.

რისი ცხრა წელი, რა ცხრა წელი — ეს ბანდა 25 წელზე მეტია ხელისუფლებაშია სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა სტატუსით, სხვადასხვა სახელით.

25 წელზე მეტია ეს ბოროტი ძალა სისხლს წოვს საქართველოს და ვერა და ვერ მოვწყვიტეთ ქვეყნის გადახსნილ ძარღვს.

„ანკეტის“ მიხედვით მათი პოლიტიკური ბიოგრაფია თითქოს „ვარდების რევოლუციიდან“, ანუ 2003 წლიდან იწყება, თუმცა რატომ 2003 წლიდან და არა 1995 წლიდან, როცა შევარდნაძემ ეს „შპანა“ პოლიტიკაში შემორეკა და მაღალი თანამდებობები ჩამოურიგა, მათ კი მადლობის ნაცვლად გადატრიალება მოუწყეს.

— ვისაც გადატრიალება უნდა, ლოგინში გადატრიალდესო,



— თავდაჯერებულად კი ამბობდა პატივცემული ედუარდი, მაგრამ ბოლოს მაინც გადაატრიალეს მისმა გამოზრდილმა ბაღნებმა. კოჰაბიტაციის პირველი პრეცედენტი დრამატულად დამთავრდა მისი ავტორისათვის.

„ვარდების რევოლუცია“ ეს იყო წმინდა წყლის სახელმწიფო გადატრიალება, თუმცა ეს კვალიფიკაცია ოფიციალურად ამ მოვლენისთვის დღემდე არავის მიუცია, ისე, როგორც დღემდე არავის დაურქმევია თავისი ნამდვილი სახელი 1992–94 წლების მოვლენებისთვის.

ჩვენ ის ქვეყანა ვართ, სადაც ისიც კი არ ვიცით, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა თუ მოკლეს?

და როცა არაფერი არ ვიცით, როცა არაფერს არ ჰქვია თავისი ნამდვილი სახელი, როცა არ ვიცით, ვინ ვინ არის, ქვეყნის ცხოვრება მოდელირებულ, ირეალურ განზომილებაში გადადის, სადაც არაფერი აღარ არის მართალი, არაფერი აღარ არის ნამდვილი.

როცა ასეთი სიტუაციაა, ქვეყნის პირველი პირი, შეიძლება, კანონიერი ქურდი გახდეს, პრეზიდენტად — მისი წინამორბედი მკვლელი მოგვევლინოს, ადამიანების მწამებელ სადისტს და მანიაკს დემოკრატიის შუქურა ეწოდოს, ყაჩაღს და ავაზაკს — პოლიტპატიმარი, პროვოკატორს, და რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენელს — პროდასავლელი, ხოლო მზე შეიძლება ხან ჩრდილოეთიდან ამოვიდეს, ხან დასავლეთიდან, იმის მიხედვით, ვის როგორ მოეპრიანება და ვინ როგორ დაატრიალებს გლობუსს.

**დიახ, ცხრა წელი კი არა, ოცდახუთი წელია „ნაცმოძრაობა“ და მის კალთას შეფუფული პოლიტიკური პარაზიტები ხელისუფლებაში არიან**, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანამდვილებით არავინ იცის, ვინ არიან ისინი?

რომ ჰკითხო, ვინ ხართო, სხაპასხუპით გიპასუხებენ, რომ პროდასავლელები არიან, მაგრამ პროდასავლელები თუ ივნენ „გამარჯვებულ“ სააკაშვილს რატომ აუწია მარჯვენა რუსმა ივანოვმა და მანვე რატომ წაიყვანა დამარცხებული ასლან აბაშიძე დედა-რუსეთში?

„ვარდების რევოლუციაც“ დასავლური საღებავებით გადათხაპნილი რუსული „რევოლუცია“ ხომ არ იყო სინამდვილეში?

„რევოლუციის“ შემდეგაც, რასაც ეს ვითომ პროდასავლელები აკეთებდნენ, ყველაფერი რატომ ასხამდა წყალს რუსეთის წისქვილზე?

უამრავი კითხვაა, უამრავი საეჭვო გარემოება, რომლებზეც ზუსტი პასუხები არ ვიცით.

ისიც კი არ ვიცით, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში — მართლა ომი იყო ეს თუ რუსეთ-საქართველოს ხელისუფლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი პროვოკაცია, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი შეეწირა.

ჩვენ ისიც არ ვიცით, რატომ აქვთ პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები ვითომ პუტინის მტერ „ნაცმოძრაობას“ და ევროპის სახალხო პარტიას, რომელიც ასევე შემჩნეულია რუსეთისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში.

ჩვენ არც იმაზე გვაქვს წარმოდგენა, რუსეთის მიერ ევროპისა და ამერიკის გავლით შემოგზავნილი რუსული აგენტურა ხომ არ არის ეს „ნაცმოძრაობა“, რომელსაც ქვეყნის მატერიალური, სულიერი, მორალური გაპარტახება აქვთ დავალებული, რასაც ეს სულწაწყმედილები წარმატებით ასრულებენ.

როგორც ვთქვი, ჩვენ დანამდვილებით არაფერი არ ვიცით და როცა არაფერი არ იცი, როგორ შეიძლება სწორი არჩევანი გააკეთო?

ამიტომაცაა გააზრებულ-გაცნობიერებულ არჩევანს კი არ ვაკეთებთ — რუსულ „რულეტკას“ ვთამაშობთ თითქოს...

აგერ ახლახან არ იყო, პრეზიდენტად კინაღამ რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი გრიგოლ ვაშაძე რომ ავირჩიეთ?

მანამდე ხომ კგბ-ს გენერლად წოდებული ალასანიას დისშვილი კინაღამ კი არა, ნამდვილად აირჩიეს პრეზიდენტად და ბიძინა ივანიშვილს ხელი რომ არ შეეშალა, შეიძლება, ხელმესამედ, აწ უკვე სამარადისოდ და სამუდამოდ ისევ აერჩიათ ქვეყნის თავკაცად.

ამ დროს ვინც ამას აკეთებს და ვინც ამაში აქტიურობს, ვითომ რუსეთს „ებრძვის“ და ოკუპანტს ეძახის.

**თუ რუსეთს ოკუპანტს ეძახი, თუ რუსეთს ებრძვი, თავით ფეხებამდე რუს გრიშას და გრიშაზე კიდევ უფრო დიდ რუსს, კაგებეშნიკი ალასანიას დისშვილს, კგბ-ს ძუძუთი გაზრდილ მიშას როგორ აძლევ ხმას და ხმასთან ერთად კიდევ ერთ ადგილს?**

მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ეს მართლაც დიდი და უკიდეგანო რუსეთი ყველგან არის, ყველგან ჰყავს თავისი აგენტურა თუ რეზიდენტურა და ხან ამერიკის კონგრესიდან გვიპაჭუნებს თვალს, ხან ევროპარლამენტიდან, ხან ეუთოდან და გაეროდან გვიყოფს ენას, ჩვენ კიდევ ვერაფერს ვხვდებით, ჩვენ არაფერი არ ვიცით.

როგორც ჩანს, ჩვენგან განსხვავებით, პრემიერ-მინისტრმა გახარიამ იცის რაღაც-რაღაცები და პარლამენტში მესამედ მისვლისას თქვა კიდევაც, საქართველოს მტრები მომავალ პარლამენტში არ იქნებიანო.

თქვენ გაიხარეთ, ბატონო გახარია, ჩვენი გულების გახარებისთვის — ესე იგი მომავალ პარლამენტში, ანუ სადღაც ოთხ თვეში, ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტში საქართველოს მტრები არ იქნებიან, ხომ?

ოთხი თვე რა არის, ოთხი თვე წყალში ჩადგება კაცი, ოთხი თვე კი არა ოცდახუთი წელია ვუძლებთ და ოთხ თვეს ვერ გავუძლებთ?

●

მე და ჩემი თაობა შეიძლება ვერ მოვესწროთ იმ დროს, მაგრამ ის დრო აუცილებლად დადგება, როცა მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან რუსეთისთვის თავდადებულ ქართველთა დიდი ბარელიეფი აღიმართება, სადაც სხვა ღვაწლმოსილ „გრუზინებთან“ ერთად აუცილებლად იქნებიან ედუარდ შევარდნაძე იგორ გიორგაძესთან, თენგიზ კიტოვანთან, ჯაბა იოსელიანთან, ვარდიკო ნადიბაიძესთან ერთად, მიხეილ სააკაშვილი-ბოკერიასთან, მერაბიშვილთან, ოქრუაშვილთან, უგულავასთან, გრიგოლ ვაშაძესთან ერთად, ნინო ბურჯანაძე თავის ანზორიკოსთან ერთად, შალვა ნათელაშვილი ბელასთან და გუგავასთან ერთად, ელენე ხოშტარია თავის მამიკოსთან ერთად, ნიკუტა გვარამია გაბუნიასთან და მელაძესთან ერთად, ძმები ბერძენიშვილები უსუფაშვილ-ხიდაშელთან ერთად და კიდევ სხვა მრავალნი და მრავალნი.

ბარელიეფის ავტორს ანდერძად ვუბარებ: რიგითი მაქარაშვილი, რიგითი დიღმელაშვილი არ გამომიტოვოთ...

**„საერთო გაზეთი“**






# დემონა ჩერგოს ვნებანი

## პოლიტიკური ნოველა







თამარამ პალტო ჩაიცვა, ყირმიზ ყელზე კაშნე შემოიხვია და სახლიდან გასვლა დააპირა.

– საყვარელო, საით გაგიწევია? – დაადევნა სიტყვა გიგამ და თვალები მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა.

– რა ვიცი, ჯერ ჯანგოსთან ვარ დაპატიჟებული ტელევიზიაში, მერე კვესოსთან, მერე ინგასთან, მერე გაბუსთან... შეიძლება სხვებმაც დამპატიჟონ, რას გაიგებ?

– პალტო რატომ ჩაიცვი, გარეთ ხომ ივლისია?

– ივლისი?

– ჰო, ივლისია, ცხელა, 35 გრადუსია პლიუსით, თუ სიტუაციას პოლიტიკური თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება მეტიც იყოს! – ცოტაოდენ გაბრაზდა გიგა და ისევ გადაატრიალა თვალები მრავალმნიშვნელოვნად, თან თავიც გააქიცინა რამოდენიმეჯერ.

– მატყუებ, ახლა იანვარია, გარეთ თოვს, ბარდნის! – გაბრაზდა თამარაც და ხელების საპარჭყად მოემზადა.

– მოდი, აქ დაჯექ, საყვარელო, ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილო.

– ჰმ... შენ კიდევ დაგრჩა რაიმე საიდუმლო?!

– არა, ეს ახალია, ქალო, რეიზა ეჭვიანობ?

– თუ გინდა, დედა დედოფალს ვკითხოთ, ის დამიდასტურებს, რომ ეხლა, ამ წუთას იანვარია და გარეთ საშინლად ცივა, – გაიშვირა თითი თამარამ ერთ-ერთი ოთახისკენ.

– ჰო, ჰო, იანვარია, ჩემო პაიკებო, თებერვალიც მალე დადგება და ხეში წყალი ჩადგება, – წამოიკვნესა ოთახიდან შეუმჩნევლად გამოსულმა დედა დედოფალმა ნანამ.

– მაგიჟებთ?! – მოწკურა თვალები მრავალმნიშვნელოვნად გიგამ.

– თუ იანვარი არ არი, მაშ რათა მცივა ეგრე ძალიან? – აიჩეჩა მხრები ნანამ.

– ეეეჰ, ორასი წლისა რომ გახდები, გამყინვარება დაიწყება! – მიუგო გიგამ და ისევ გააქიცინა თავი.

– ეგე, ხომ გეუბნებოდი?! – შემოიყარა დოინჯი თამარამ.

– კარგი, მოდი, დაჯექი... უნდა გითხრა, რომ გერმანიის საელჩომ არასასიამოვნო წერილი გამოგიგზავნა.

– რა წერილი, რას ჰქვია, არასასიამოვნო, მაგას როგორ გაბედავდნენ?!

– ჰო, აი, წაგიკითხავ... „პატივცემულო ქალბატონო თამარ, გერმანიის ელჩმა აღმოაჩინა, რომ მისი პიროვნებისადმი ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც მას 8 მარტის შეთანხმების შინაარსის შეხსენება მოუხდა. ამის შემდეგ, მოკლე ხანში თქვენ „ტაბულას“ საიტზე ახსენეთ ინტერვიუ, რომელიც ელჩმა ნახევარი წლის წინ მისცა. თქვენ წერთ, თითქოს ამ ინტერვიუში ელჩი ამბობს, რომ 2019 წლის 20 ივნისს პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა პროპორციული იყო. ამით ელჩის გამონათქვამს არასწორად გადმოსცემთ. სინამდვილეში ელჩმა განაცხადა, რომ პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენება გარკვეულ სიტუაციებში აუცილებელი შეიძლება გახდეს, მაგრამ პროპორციული უნდა იყოს. თქვენ მიერ გავრცელებული არასწორი გამონაქვამი სხვა ქართულმა მედიასაშუალებებმა გამოიყენეს და გაავრცელეს. დავადგინეთ, რომ ამასობაში თქვენ გაასწორეთ ციტირებული პასაჟები ინტერვიუდან. ამის მიუხედავად, მაინც მოგიწოდებთ, მიჰყვეთ მიღებულ საერთაშორისო ჟურნალისტურ პრაქტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ ასევე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ აღიაროთ თქვენ მიერ გავრცელებული მცდარი გამონათქვამი და გაასწოროთ იგი. პატივისცემით, იან ბიტნერი, ელჩის მოადგილე, ეკონომიკის განყოფილების უფროსი, იურიდიული და საკონსულო განყოფილების უფროსი“.

– ვაიმეეეე! – შეჰყვირა თამარამ და წითლად შეღებილ კედელზე ბრჭყალები ჩამოუსვა.

– თამარა, ძალიან გთხოვ, ნუ იქცევი დემონივით, ბოლოს და ბოლოს, ინგა გრიგოლია ხომ არ გგონივარ?! – ამოიკვნესა კვლავ დედა დედოფალმა ნანამ.

– მოკლედ, სიტუაცია გართულდა, რამე უნდა ვიღონოთ, – შეცვალა თემა გიგამ.

– მივალ გერმანიის საელჩოსთან და ქვებს დავუშენ!

– ქვებს? – ჩაფიქრდა გიგა.

– ჰო, აბა, რა დავუშინო?!

– ისე, კარგად წამოაძახა ნათელაშვილმა გერმანელებს, მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ბიჭები რომ დახოცეთ, სასწრაფოდ კომპენსაცია გადაგვიხადეთო.

– შალვა გენიოსია! – გადაიკისკისა თამარამ.

– კი, ტიპი აშკარად აზროვნებს, ისიც კი იცის, რამდენი მომავალი „ლეიბორისტი“ დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში.

– რამდენიო?

– დაახლოებით 400 ათასიო.

– მერე, აქედან ყველა „ლეიბორისტი“ იქნებოდა?

– არა, ზოგი ჩვენიანი იქნებოდა, მაგრამ მე ის მახარებს, გერმანიის მთავრობას აგრერიგად ეფექტიანად რომ აწვება.

– ეს კარგია, მაგრამ მაქვს მეორე ვერსიაც... აი, მაგალითად, მელიტონ ქანთარიას მიერ განხორციელებული ქმედებები ხომ არ შევახსენო მაგ... რა ჰქვია გერმანიის ელჩს?

– ჰუბერტ ქნირში... სახელი კი აქვს გერმანული, მაგრამ გვარი თურქულს წაუგავს. სხვათა შორის, 2018 წლამდე მოსკოვში მუშაობდა, გერმანიის საელჩოში პოლიტიკური განყოფილების უფროსი იყო.

– აჰააა... ესე იგი, ნათელაშვილი არ ტყუის, მოსკოვში მუშაობისას პუტინმა „დაავერბოვკა“ და ივანიშვილს გადმოსცა დასაფინანსებლად, ხომ?!

– ფაქტობრივად ეგრეა... რაც შეეხება მელიტონ ქანთარიას, რაიხსტაგზე ატანილ დროშას და ტარს, შეეშვი, მანდ ძალიან დიდი ბლეფი იყო.

– რა ბლეფი?

– რა და... ეს არავისთვის მითქვამს, კაცობრიობისთვისაც კი უცნობია. ესე იგი, სიტუაცია იყო ასეთი: 1945 წლის მაისია, საბჭოთა ჯარები ბერლინს ბომბავენ, ჰიტლერი და მისი თანამებრძოლები ბუნკერში არიან ჩასულები... რაიხსტაგის წინ დგას ჩემი წინაპარი ბოკერია, ხელში უჭირავს დროშა თავის ტარით, შენობაზე უნდა აიტანოს, გამარჯვების ნიშნად აღმართოს და იყვიროს – „ურაააააა“!

– გიგა, შე ულმერთოვ, ამას მიმალავდი?! – შეჰკივლა თამარამ და წითლად შეღებილ კედელს ისევ ჩამოუსვა ბრჭყალები.

– დამშვიდდი, ყველაზე მაგარი მაინც ფინალია... ჰოდა, იმას ვამბობდი, ამ დროს ჩემს წინაპართან მირბის მელიტონ ქანთარია და პრინციპულად ეუბნება – ვისაც ხელში რა უჭირავს, თავის უკანალშიო. არა ბოკერიამ, დახედა დროშის ტარს, სინანულით გადააქნია თავი და ეგრევე გადააგდო. რა ქნა გაიძვერა მელიტონმა? სტაცა ხელი დროშას, ავარდა რაიხსტაგის სახურავზე დაააფრიალა. სხვათა შორის, შემდგომმა გამოძიებამ ცხადყო, რომ ქანთარია ყოფილა ლავრენტი ბერიას დეიდაშვილი მამის მხრიდან.

– ესე იგი, მელიტონ ქანთარიას სტალინთან საქმე ჩაუწყო ლავრენტი ბერიამ?!

– სწორედაც რომ ეგრეა.

– კი, მაგრამ ამის შესახებ შალვა ნათელაშვილმა იცის?

– არა, ხომ გითხარი, ამის შესახებ კაცობრიობამ არაფერი იცის-მეთქი?

– უნდა ვუთხრა! – შეხტა და შემოტრიალდა თამარა.

– არა, ჯერ ადრეა, გერმანიის ელჩთან სიტუაცია უნდა დავალაგოთ, მეც ცოტა ბევრი ვიყბედე, შალიკო რომ ლაპარაკობს, ეგ სხვაა, მე უბრალოდ არ მეკადრება, ბოლოს და ბოლოს პროდასავლელი პოლიტიკოსი ვარ.

– იცოდე, მე ბოდიშს არ მოვიხდი, ჰიტლერი რომ გაცოცხლდეს და ავტომატით დამადგეს, არ მოვიხდი!

– არა, ბოდიში საჭირო არ არის, ტელევიზიებში ჩამოვლაზე რომ იქნები, თქვი, შეეშალა-თქო, კარგად ვერ გაიგო-თქო, თარგმანში დაიკარგა-თქო.

– იჰ, ამდენი „თქო“ რა საჭიროა?!

– არა, ამდენი „თქო“ ნამდვილად არ არის საჭირო, ერთი-ორგან ჩააკვეხე, ეგ არ გესწავლება.

– კარგი, შეიძლება წავიდე?

– წადი, ოღონდ პალტო გაიხადე, ჩექმებიც! – დაპრაწა თვალები გიგამ მრავალმნიშვნელოვნად.

თამარამ პალტო გაიხადა, კაშნე იქვე საწოლზე მიაგდო და ჩექმებს დაუწყო ჯაჯგური. დედა დედოფალ ნანა ბაბოს ტახტზე ჩასძინებოდა, პერიოდულად წამოიკვნესებდა ხოლმე: ქიში, მეფე, ლაზიერი, ეტლი, კუ, მხედარი, პაიკი... გრძელი როქი, მოკლე როქი, ტაშ-ტაშ, ტარამ-ტარამ!

გიგამ ფეხები ფლოსტებში წაყო, თვალები მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა, თამარა კარამდე მიაცილა, ხელზე ეამბორა და... ტელევიზორში გიყურებო, ჩასჩურჩულა ყურში.



ნოველა ნამდვილ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა

**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61

# აშშ-ს შავი ფერის მემარცხენე ფაშიზმი უტევს

დამოუკიდებლობის დღე — 4 ივლისი, ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე ერთ-ერთი მთავარი საზეიმო თარიღი იყო. წლეულს დამოუკიდებლობის დღე უკვე 224-ედ აღინიშნა. თუმცა საზეიმოდ ნაკლებად ვინმეს თუ ეცალა — თარიღს ქვეყანა გახლეჩილი საზოგადოებით შეხვდა. ცალკეული შტატების გუბერნატორებმა და დიდი ქალაქების მერებმა მასობრივი საზეიმო ღონისძიებების გამართვა, ფაქტობრივად, აკრძალეს კოვიდ-19-ის მიზეზით. სამაგიეროდ, მიმდინარე საპროტესტო აქციებს წაუყრუეს.

საარჩევნო კამპანიის პროგრამით და დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სამხრეთ დაკოტაში ჩავიდა. შტატში, ქალაქ ჰუაშანთან მდებარეობს რაშმორის მთა, რომელსაც „შავ ბორცვსაც" უწოდებენ. სწორედ იქ, კლდეებშია გამოკვეთილი ოთხი პრეზიდენტის — ჯორჯ ვაშინგტონის, თომას ჯეფერსონის, აბრაამ ლინკოლნისა და თეოდორ რუზველტის ბარელიეფი, იმ ადამიანებისა,



რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს აშშ-ის სახელმწიფოებრიობას. დაკოტაში ტრამპმა განაცხადა, რომ გამოცემს განკარგულებას ეროვნული პარკის ასაშენებლად, სადაც განათავსებენ შავკანიანთა მიერ დარბეულ ძეგლებს. მისივე სიტყვებით, მთაში გამოკვეთილ ბარელიეფს საფრთხე არ ემუქრება და ის მუდმივად იქნება, როგორც აშშ-ის ისტორიის განუყოფელი ნაწილი. ამით მკვიდრი ინდიელი მოსახლეობა გაანაწყენა, რადგან მათ ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ წართმეულ მიწებს დაიბრუნებენ. ქვეყანაში მიმდინარე მასობრივი გამოსვლები დონალდ ტრამპმა მემარცხენე ფაშიზმად შეაფასა. შებინდებისას ბარელიეფთან გრანდიოზული ფოიერვერკი მოაწყეს, რომლის მსგავსი ჯერ არასოდეს ყოფილა რაშმორის მთასთან.

დაკოტაში სხვადასხვა კუთხეებიდან ჩავიდნენ ტრამპის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. მათ შორის შუაში პოლიცია ჩადგა. თითქმის 4 საათი ითმინეს სამართალდამცავებმა მოწინააღმდეგეთა აგრესიული გამოხტომები და შემდეგ ძალის გამოყენებით დაშალეს. რაც მთავარია, აღკვეთეს სამოქალაქო დაპირისპირება. საინტერესო იყო ცხენებზე ამხედრებული შეიარაღებული კოვბოების გამოჩენა. მათი თქმით, შეუძლიათ ქვეყნისა და საკუთარი თავის დაცვა.

მთავარი ღონისძიება დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ვაშინგტონში გაიმართა. დონალდ ტრამპმა მიმართა თეთრ სახლთან შეკრებილ მოსახლეობას. როგორც მან განაცხადა, ისინი „მემარცხენე რადიკალებს, მოროდიორებს ძეგლების დანგრევის, ისტორიის განადგურების უფლებას არ მისცემენ". ტრამპმა ცრუ და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის გააკრიტიკა ამერიკული პრესა და გაიმეორა დაკოტაში ნათქვამი, რომ აშშ-ის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ხეივანს გააშენებს.

ორიგინალურად მიულოცეს ამერიკელებს დამოუკიდებლობის დღე იტალიელებმა. ყოფილმა ვიცე-პრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მატეო სალვინიმ, რომელიც ახლა მოძრაობა „ლიგას" ხელმძღვანელობს, თავის მომხრეებთან ერთად რომში გამართა აქცია ლოზუნგით: „ყველას სიცოცხლე მნიშვნელოვანია!".

როდესაც დონალდ ტრამპი თეთრი სახლის წინ მოსახლეობას მიმართავდა, ვაშინგტონის ქუჩებში რასიზმის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები იმართებოდა. აქვე სათქმელია, რომ მხარდამჭერთა ნაკლებობას დონალდ ტრამპი ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ შავკანიანები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან. რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ უკვე სხვა ელფერი შეიძინა. „არასოდეს ყოფილა აშშ დიადი!" — გაჰყვიროდნენ შავკანიანები. ამით ტრამპს გამოთქმაზე — „კვლავ გავხადოთ აშშ დიადი", — უარყოფითად უპასუხეს. რადიკალებმა თეთრი სახლის სიხალოვეს დამოუკიდებლობის დღესაც დემონსტრატიულად დაწვეს სახელმწიფო




დროშები! ამის შემდეგ ტრამპის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეთა შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. პოლიციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა მათ დასაშოშმინებლად.

საპროტესტო აქციები აშშ-ში ძალას იკრებს და ახალ ფაზაში გადადის. ცალკეულ ქალაქებში შეიქმნა ე.წ. პოლიციისგან თავისუფალი ზონები, გახშირდა მოქალაქეებს შორის დაპირისპირებები. უმისამართო სროლების გამო ყოველდღე არის მსხვერპლი, მათ შორის, ბავშვებსა და მოზარდებშიც. აშშ დღეს, ფაქტობრივად, ფერადი (უფრო ზუსტად, შავ-თეთრი) რევოლუციის რეჟიმშია. თუნდაც 6 თვის წინ აზრად არავის მოუვიდოდა, რომ ქვეყანაში მსგავსი რამ მოხდებოდა. შავკანიანი მოსახლეობის ნაწილი ღიად აცხადებს, რომ 4 ივლისი არ მიაჩნიათ საზეიმო თარიღად, რადგან, როდესაც დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს, მაშინ მონათმფლობელობა გაუქმებული არ იყოო.

საგანგაშოა, რომ შავკანიანი მოსახლეობა ქალაქების ქუჩებში უკვე ავტომატური იარაღით შეიარაღებულები გამოვიდნენ. პორტლანდში ადმინისტრაციულ შენობას პიტარდები დაუშინეს. დაუსჯელობის სინდრომმა დაისადგურა შავკანიან მოსახლეობაში, რადგან მათ ყველაფერს პატიობენ, რასაც თეთრკანიანს არავინ შეარჩენს. მთელი ქვეყნის მასშტაბით წვავენ სახელმწიფო დროშებს, გამომწვევად იქცევიან. შეიარაღებულ შავკანიანი პირები ყველას ემუქრებიან იმით, რომ თავიანთ წესრიგს დაამყარებენ. „...მიგვიფურთხებია ტრამპისთვის, დამოუკიდებლობის დღისთვის, კონსტიტუციისთვის! ჩვენ დღეს გვინდა რევოლუცია და მოვაწყობთ კიდეც!" — თამამად აცხადებენ ტელეკამერების წინ შეიარაღებული შავკანიანები.

ამერიკელი პოლიტოლოგები შეშფოთებულები აღნიშნავენ, რომ ახლა აშშ-ში თეთრკანიან მოსახლეობას უხდება საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლა. შავკანიანი რადიკალები ნებისმიერი მოქალაქის ქონების დარბევას ცდილობენ. გასულ კვირას სენტ-ლიუსში რადიკალების ბრბო შეეცადა ერთ-ერთი ადვოკატის სახლში შევარდნას, მაგრამ ოჯახის უფროსი ცეცხლსასროლი იარაღით გამოუვარდა და გააფრთხილა, რომ ვინც მის სახლში შესვლას გაბედავდა, მოკლავდა. იურიდიულად მას ამის სრული უფლება აქვს. თუმცა, ქალაქის შავკანიანმა პროკურორმა ადვოკატი გაამტყუნა და მის წინააღმდეგ მოკვლევა დაიწყო. პროკურორის განმარტებით, თურმე პირველ რიგში, ბრბო-დემონსტრანტების უფლებებია დასაცავი. სიეტლში, მიუხედავად „დამოუკიდებელი კომუნის" გაუქმებისა, დანაშაული 10-ჯერ გაიზარდა.

პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ „რასიზმის წინააღმდეგ კი არა, ბრძოლა დემოკრატების მიერ ტრამპის წინააღმდეგ მიმდინარეობს". ამავე აზრს იზიარებს შავკანიანი მოსახლეობის ნაწილიც. მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია" მათ თავსმოხვეულად მიაჩნიათ, რაშიც ოდიოზურ მილიარდერს ჯორჯ სოროსს ადანაშაულებენ და მას არეულობების დამფინანსებლად მიიჩნევენ. „...განუკითხაობას, ქაოსს, რასაც ქალაქების ქუჩებში ვხედავთ და რასაც ლიბერალი დემოკრატები ახალისებენ, ამით ქვეყანას ჩიხისკენ მიაქანებენ!" — აცხადებს დონალდ ტრამპი.

„მსგავსი ბინძური საარჩევნო კამპანია აშშ ისტორიას არ ახსოვს", — აცხადებენ ექსპერტები. დემოკრატები არაფერზე იხევენ უკან, რათა როგორმე შეულახონ იმიჯი ტრამპს. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ „ნიუ-იორკ თაიმსი" წერდა, თითქოს რუსეთის დაზვერვამ მოისყიდა თალიბები ავღანეთში, რათა ამერიკელი ჯარისკაცები დახოცონ, რისთვისაც თითოეულ მოკლულში 100 ათას დოლარს გადაუხდიანო. „დაზვერვის ხალხმა რომ მომახსენა, თავადაც არ სჯეროდათ ამ ინფორმაციის სინამდვილე... ყველაფერი დემოკრატების შეთხზულია", — აცხადებს თავადვე გაოცებული ტრამპი. თუმცა ტყუილის გავრცელების მიზეზი მარტივია — ადრეულ გაზაფხულზე ტრამპმა მიაღწია შეთანხმებას თალიბებთან — თუ ავღანეთში სიმშვიდე დამყარდება, აშშ-ის ჯარი ქვეყანას დატოვებს. ეს კი დემოკრატებს არ აწყობთ.

ამასობაში კი აშშ-ში ორი დღის წინ გამოჩნდა ქვეყნის პრეზიდენტობის კიდევ ერთი მსურველი — შავკანიანი რეპერი, ვინმე კანიე უესტი. საინტერესო იქნება პრეზიდენტის რანგში მისი მოღვაწეობა. სავარაუდოდ, პირველ რიგში, ალბათ, თავისუფლების ქანდაკებას გაიტანს ნიუ-იორკიდან.



საქართველოსთვის საყურადღებო მოვლენები მოხდა გასულ კვირას ჩვენს სამეზობლოში. თურქეთის უმაღლესმა სასამართლომ დასაშვებად ცნო სტამბოლში სოფიის ტაძრის მეჩეთად გადაკეთება. ფაქტმა ევროპის ქვეყნების შეშფოთება გამოიწვია, რაც ნეო-ოსმალიზმის გამოვლინებად შეაფასეს. ახლა პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ლევან მამალაძის ღია წერილი ქართველ საზოგადოებას

## სააკაშვილის მიერ შეთითხნილი ცრუ ბრალდებების გამო 17 წელიწადია დევნილობაში ვარ. გთხოვთ, დამეხმაროთ, დავბრუნდე სამშობლოში!



ამ წერილს თუ აღსარებას საქართველოს საზოგადოებას ვუძღვნი.

**მინდა იცოდეს ყველამ** — მე, ერთ ქართველ კაცს, ჩემი ქვეყნის მოყვარეს და გულშემატკივარს, რომელსაც საქართველოს ცის დანახვა არ მღირსებია 17 წელიწადია და ჩემს მიწაზე ფეხი არ დამიდგამს, რა გამიკეთებია ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო და რა „დამიშავებია".

რატომ არ მეძლევა უფლება, სააკაშვილის რეპრესიების მსხვერპლი მამაჩემის, ბიძაჩემების და სხვა ჩემი ახლობელ-მეგობრების საფლავებს მაინც რომ მოვეფერო და ჩემს სამ შვილს, სულით ხორცამდე ქართველებს, ქართულ მიწაზე გავლა ვაღირსო?!

მათ სიზმრებში აქვთ საქართველო, თავიანთი ბავშვობის მეხსიერებიდან, ჩემი და ჩემი მეუღლის მონაყოლი ისტორიებიდან.

არავინ არ მომიკლავს და არ გამიუბედურებია, სახელმწიფოსთვის არ მიღალატია, სხვა ქვეყნის სასარგებლოდ ჩემი ქვეყნის ინტერესები არ დამიზარალებია, ბიუჯეტი არ გამიძარცვავს, ოქრო და ვერცხლი არ მომიპარავს, დიახ, არ მომიპარავს, მაგრამ, მოდით, თავიდან დავიწყებ:

1988 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, ჩავერთე ეროვნულ მოძრაობაში — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდით.

1989 წლიდან მწვანეთა მოძრაობის სწავლული მდივანი ვიყავი.

მოგვიანებით, პარლამენტის დეპუტატი გავხდი ქვემო ქართლიდან, შემდეგ კი ქვემო ქართლის გუბერნატორად დავინიშნე.

დღეს ზოგიერთები ჩემზე ამბობენ, ლევან მამალაძე შევარდნაძესთან განსაკუთრებით დაახლოებული იყოო, არადა, იმის მიუხედავად, რომ შეხვედრისას ბოლომდე, გულდასმით მოგისმენდა და რჩევებსაც გაითვალისწინებდა, მთავრობაში არავინ იყო მისი „მეგობარი" და ძმაკაცი.

იმ ურთულეს პერიოდში მაინც მოხერხდა ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლების ჩამოყალიბება, სახელმწიფოს განესაზღვრა მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქციები, ყველა სტრატეგიული პროექტი მაშინდელი პერიოდიდან იღებს სათავეს. მათ შორის, პატრულისა და იუსტიციის სახლების შექმნა. ამ პროექტების განხორციელება უსახსრობის გამო მაშინ ვერ მოხერხდა. სააკაშვილმა კი შსს მინისტრის კახა თარგამაძის გამზადებული პროექტები თავის დამსახურებად გამოაცხადა.

ქართული სახელმწიფოებრიობა პირველ ნაბიჯებს დგამდა და, თავისთავად ცხადია, ძალიან ძნელი იყო პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად მუშაობა, მით უფრო, ქვემო ქართლში.

ეს გუბერნატორის ინსტიტუტის პირველი აპრობაცია იყო საქართველოში.

მიუხედავად ყველაფრისა, მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა შევძელით: სახელმწიფო საზღვრებიდან და საწარმოებიდან განვდევნეთ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და განვაიარაღეთ ისინი.

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანის თავიდან აცილების მიზნით, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონების ხელმძღვანელებთან ერთად, შევქმენით ერთობლივი კომისია. ტყვეობიდან დავიხსენით საქართველოს ასეულობით მოქალაქე.

მრავალეროვნულ რეგიონში ჩამოყალიბდა ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის უზენაესობა, შეიქმნა შესაბამისი საკონსულტაციო და მართვის სტრუქტურები. თანასწორუფლებიანობის პრინციპით განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო რეფორმა, რეგიონმა პირველი ადგილი დაიკავა სს პროდუქციის წარმოების კუთხით. ჩამოყალიბდა მრეწველობის ხელშეწყობის, საინვესტიციო მიმზიდველობის და საბიუჯეტო უზრუნველყოფის პროგრამები. აზერბაიჯანის, საქართველოს და უკრაინის სახელმწიფო და ბიზნეს-ჯგუფების მონაწილეობით შეიქმნა რუსთავის მეტკომბინატის რეაბილიტაციისა გეგმა, რაც მოწონებული იქნა სამივე ქვეყნის პრეზიდენტების მიერ. განხორციელდა სს „აზოტის" ნედლეულით და ბუნებრივი აირით მომარაგება, ამავე საწარმოსთვის შეიქმნა კარბამიდის წარმოების მშენებლობისათვის საჭირო ინვესტიციების მოსაზიდი გეგმა, რაც მოიწონა კიდევაც იაპონურმა კორპორაცია „იტოჩუმ".

რეორგანიზაცია ჩატარდა სს „მადნეულში" და წამგებიანი საწარმო რენტაბელური გახდა. სახელმწიფო ინტერესები განმტკიცდა ოქროს მწარმოებელ საწარმო „კვარციტში", არ მიეცათ საშუალება ცრუ ინვესტორებს გაეკოტრებინათ და ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო ქონება. რაიონებში ამოქმედდა მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები. მომზადდა კომპლექსური ანტიკორუფციული პროგრამა და საკანონმდებლო ინიციატივის სახით დაეგზავნა სამინისტროებს.

იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა ეს პროგრამა შეგნებულად დაბლოკა. ასევე დაბლოკეს ხე-ტყისა და ჯართის ექსპორტის რეგულირების ჩვენს მიერ შედგენილი საკანონმდებლო ინიციატივა, რაც გამიზნული იყო საქართველოს ხე-ტყის უმოწყალო ჩეხვისა და საწარმოების ძარცვის შესაჩერებლად, რის გამოც საჯაროდ ვამხილე სააკაშვილი სახელმწიფოს საწინააღმდეგო და კორუფციულ მაქინაციებში, 2003 წლის თებერვალში მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე.

თანამოაზრეებთან ერთად შეიქმნა პირველი თვითმმართველობის ასოციაცია, მომზადდა თვითმართველობის რეფორმა, რაც მოიწონა ევროკავშირის წარმომადგენლობამ.

ჩვენი ინიციატივით, წალკის რაიონში ჩავასახლეთ აჭარაში და სვანეთში სტიქიით დაზარალებული ოჯახები, შეივსო მიტოვებული სოფლები, დაბალანსდა დემოგრაფიული მდგომარეობა, თავიდან იქნა აცილებული პროვოკაციები ქართულ-ამერიკული წვრთვნისა და აღჭურვის სამხედრო პროგრამის, ტრანსნაციონალური ნავთობსა და გაზსადენების მშენებლობაში.

აშენდა და გარემონტდა მრავალი ეკლესია-მონასტერი.

ეროვნული მასშტაბი მიენიჭა „დიდგორობის" სახალხო ზეიმს. იერუსალიმში რომ ხუთჯვრიანი დროშებით შედიოდნენ ქართველები, ისეთი დროშა დიდგორზე აფრიალდა, როგორც „ძლევაი საკვირველი" და გამარჯვების სიმბოლო.

რაც ჩამოვთვალე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიე, თუმცა ცუდის დამჯერეს, რაც უნდა კარგი გაუკეთო, მაინც ვერ შეასმენ.

სააკაშვილმა, რაც კი ჩვენ გვიკავშირდებოდა, ყველაფრის წაშლა მოინდომა — წალკაში ჩასახლებული ქართველები უყურადღებოდ დატოვა, „დიდგორობის" ზეიმი გააუქმა, მაგრამ ხალხი მაინც დადის დიდგორზე და იქ აშენებულ ეკლესიაში ლოცულობს დღესაც…

სააკაშვილი ყოველთვის კონკურენტად აღმიქვამდა, მაგრამ რეალური დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც უარი ვუთხარი ძალისმიერი და ანტიკონსტიტუციური გზით ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობის მიღებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ პარლამენტში შეიყვანა და „მოქალაქეთა კავშირის" ფრაქცია ჩააბარა, სააკაშვილს სტაბილურობა მაინც არ აწყობდა, ხელისუფლების დამხობა სურდა, ამ საქმეში კი ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ვიყავი მე.

მაშინ მას უკვე ჰქონდა თათი დადებული ქართულ მედიაზე. სააკაშვილმა შესანიშნავად იცოდა, რა ძალა და შესაძლებლობები აქვს, ზოგადად, პრესას და იყენებდა კიდევაც ამას ყოველთვის. ჩემს შემთხვევაშიც, მოსყიდულ მედიაში, შავი პიარით, ჩემს განადგურებას შეუდგა.

მე ვამხელდი სააკაშვილს: თუ როგორ ცდილობდა ის იუსტიციის მინისტრობისას სახელმწიფო საწარმოების ხელოვნურად გაკოტრებას და მისაკუთრებას, მილიონობით თანხების მითვისებას და არჩევნების გაყალბებას, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისას ქალაქის ბიუჯეტიდან დიდძალი თანხების პირადი ინტერესებისთვის გამოყენებას,

პოლიტიკური დევნის დაუსრულებელი პროცესი

The endless process of political persecution



უცხოეთში დამალულ ანგარიშებს და ა. შ.

2003 წლის თებერვალში მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე სააკაშვილის კორუფციის ამსახველი ყველა დოკუმენტი წარვადგინე. მასალები მაშინდელი კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს გადაეცა. კონტროლის პალატამ დაადასტურა ჩემს მასალებში ასახული ყველა ფაქტის სისწორე.

იმ პერიოდშივე გავშიფრე სააკაშვილის მიერ შემუშავებული ანტისახელმწიფოებრივი გეგმები. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვიდეომტკიცებულებებიც, სამართალდამცავებს გააჩნდათ, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ, მიშასთან დაპირისპირებას უფრთხოდნენ.

მეტი კონკრეტიკისთვის გეტყვით, რომ მე გამოვააშკარავე მიხეილ სააკაშვილის მოქმედებები სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „მადნეულისა“ და „კვარციტის“ ხელოვნურად გაკოტრებისთვის ინვესტორებისგან მილიონობით დოლარის ქრთამის აღების ფაქტებზე.

სააკაშვილი სიმართლეს ვერ იტანდა. გემახსოვრებათ, სამჯერ გამექცა პირდაპირი ეთერიდან, მაგრამ საზოგადოება იმდენად იყო გაბრუებული, რომ სააკაშვილის მიმართ ბრალდებას არ იჯერებდნენ.

რომ არ ვინდობდი, ამან მთლად გაამწარა მიშა და თავისი თაღლითური დანაშაულებები რომ გადაეფარა, რუსეთიდან ძვირადღირებული PR-ტექნოლოგები ჩამოიყვანა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების ხელში ჩაგდების გეგმას ადგენდნენ. ისინი მიშამ მე დამიპირისპირა.

სწორედ მაშინ დაიწყო, აქტიურად, მოგონილი ჭორების გავრცელება, ჩემსკენ ტალახის სროლა, ოქროს ზოდები, ნიანგები, რაშები და ა. შ.

მიზანი ერთი იყო, საზოგადოების თვალში მონსტრი შეექმნათ, მოეკვეთათ და გაენადგურებინათ მამალაძე.

ერთ დროს გაღლეტილი მიშა კი უცბად მდიდრდებოდა, ბრონირებული ჯიპით დასეირნობდა, კერძო თვითმფრინავებით დაფრინავდა საზღვარგარეთ, საზოგადოებას კი პოლიტტექნოლოგების მიერ შემუშავებული მეთოდებით აბრუებდა, მეტროში ჩადიოდა და ხალხს თავს აცოდებდა.

მისი მთავარი მიზანი ხელისუფლების დამხობა და უზურპირება იყო, ამიტომ ოპონენტების და კერძოდ, ჩემი განადგურებისთვის ფულს არ იშურებდა.

ეს ფაქტები „ნაცმოძრაობის“ ყოფილმა წევრმა და დამფუძნებელმა კობა დავითაშვილმაც დაადასტურა ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში.

მიშამ საზოგადოება ვირტუალურ რეალობაში მოაქცია და ჩემზე გავრცელებულ ჭორებს ადვილად აჯერებდა.

თბილისი-რუსთავის ავტობუსებში სპეციალურად სვამდნენ მოენეებს, რომლებიც ლაპარაკობდნენ, რომ პირადად დაინახეს, როგორ ვეზიდებოდი ოქროს ზოდებს და ნიანგის ტყავებს. ეს ჭორები იმდენად აბსურდული იყო, რომ ჩემზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ ეს ამბავი სააკაშვილის პროკურორებმაც კი ვერ დაადასტურეს.

ჩემი გასამართლების სხვა გზა რომ არ იყო, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჩემი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია კანონდარღვევად გამოაცხადეს.

დეკლარაციას 1997 წლიდან ვაბარებდი და მაკონტროლებელ ორგანოს შენიშვნა არასდროს დაუფიქსირებია. მიუხედავად ამისა, დოკუმენტაციით დადასტურებული ავტომობილის შეძენას ქრთამი დაარქვეს, საბანკო ბარათებზე 4 წლის განმავლობაში 15 000 ჯამური ბრუნვა კი ფინანსურ მაქინაციად ჩათვალეს.

ეს კამპანია სწორედ „მადნეულის“ და „კვარციტის“ ვითომ ინვესტორებისთვის გადაცემაში ხელის შეშლის გამო ამიგორა სააკაშვილმა, რადგან ყველანაირად ვცდილობდი, ეს ობიექტები სახელმწიფოსთვის შემენარჩუნებინა. **სააკაშვილმა, როგორც კი პრეზიდენტი გახდა, სახელმწიფოს წაართვა ორივე საწარმო, რუსულ კომპანიას გადასცა ერთ ლარად და თვითონ წილში ჩაჯდა თავის ბიძასთან თემურ ალასანიასთან ერთად.**

**ხმამაღლა ვაცხადებ: „მადნეულსა“ და „კვარციტში“ პირადი ინტერესი არასდროს მქონია და ხმები, თითქოსდა, რაიმე სადაო მქონდეს მის ძველ ან ახალ მფლობელებთან აბსოლუტური ტყუილია.**

მოგეხსენებათ, ქვემო ქართლში კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები — აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები და სხვები. ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, თუმცა დიდი შრომა დაგვჭირდა, ქართული სახელმწიფო მათთვის მშობლიური გამხდარიყო. ეთნიკური კონფლიქტებით სისხლისგან დაცლილი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ მიმართულებით სტაბილურობის მიღწევა.

სააკაშვილის რუსმა ტექნოლოგებმა მედიაში ეს ფაქტი სპეციალურად ისე შეფუთეს, რომ თბილისში ქართული მოსახლეობა გაეღიზიანებინათ.

ქვემო ქართლში ეთნიკურ ჯგუფებს კი ჩასძახოდნენ: მამალაძე ზვიად გამსახურდიას გამოზრდილია, ქართველებს ეხმარება, ეკლესიებს აშენებენო.

სააკაშვილს არეულობის მოწყობა უნდოდა. მან პასპორტები მოტყუებით მოპარა ბოლნისელ აზერბაიჯანელებს და პროვოკაცია მოაწყო, დაძაბულობა სპეციალურად რომ შეექმნა და ქართული და აზერბაიჯანული მოსახლეობა დაეპირისპირებინა.

სააკაშვილისთვის ეროვნული ინტერესები არაფერს ნიშნავდა, ამიტომ ასევე ადვილად მისცა რუსეთს ე.წ. ოსეთ-აფხაზეთის აღიარების საშუალება, ხოლო სამდღიან ომში სამარცხვინოდ დამარცხებულთ, თბილისში გავიმარჯვეთო — აძახებინა!..

მაგრამ დავუბრუნდეთ 2003 წლის არჩევნებს.

მე გადავდექი გუბერნატორობიდან და მაჟორიტარად ვიყრიდი კენჭს ბოლნისის რაიონში. როგორც მაშინ მითხრეს, მიხეილ სააკაშვილს თინა ხიდაშელისთვის ჰქონია დავალებული ბოლნისში არჩევნების ჩაშლა.

ყველა მცდელობის მიუხედავად, მე ბოლნისში გავიმარჯვე და დაიწყო ცსკო-ში საჩივრების შეტანა, სასამართლოები და აურზაური, მაგრამ არჩევნების შედეგებს მაინც ვერ ცვლიდნენ. ამიტომ ხიდაშელმა, რომელთანაც პირადი შეხება არასდროს მქონია, წინასწარ შემუშავებული გეგმით, ცსკო-დან წევრები გამოაყრევინა, თუმცა არჩევნების შედეგები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ გაუქმება მაინც ვერ შეძლეს. **არჩევნები რომ ვერ ჩაშალეს, სააკაშვილი ძალიან გაუწყრა თურმე თინას და შეპირებულ თანამდებობაზე — იუსტიციის მინისტრად დანიშვნაზე — უარი უთხრა. ამის გამო გადამეკიდა თინა ხიდაშელი.** მერე სააკაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ მაჟორიტარობა ერთადერთს მე გამიუქმა, ცსკო-ს ახალი თავმჯდომარის ჭიაბერაშვილის ხელით, სრულიად უკანონოდ.

უკანონობა და უსამართლობის რეპრესიული მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავებას იწყებდა.

არჩევნები ბოლნისში ხელახლა დანიშნეს. მიშამ იცოდა, რომ მე კვლავ გავიმარჯვებდი და მონაწილეობა რომ არ მიმეღო, ჩემს წინააღმდეგ სასწრაფოდ აღძრეს სს საქმე.

ჩემს საბრალდებო დოკუმენტში წერია: თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებით, აიძულა უცხოეთის მოქალაქე, გვარად პანდიტი, მამალაძისთვის შეეძინა ძვირადღირებული ავტომობილი.

როგორც გაირკვა, პანდიტი თაღლითობის ბრალდებით იძებნებოდა და გაქცეული იყო ლონდონში. აღძრული საქმის შეჩერების სანაცვლოდ, პროკურატურა გაურიგდა პანდიტს, რომ ყალბი ჩვენება მიეცა. ჩვენების ტექსტი ფაქსით მიიღეს ლონდონიდან. პანდიტის ფაქსის ფურცელი მტკიცებულებად ჩათვალა პროკურატურამ. ამისთვის არც ნოტარიული დამოწმება და არც პირის იდენტიფიკაცია არ მოუთხოვიათ.

იმ კომპანიას კი, სადაც თითქოს იყიდეს მანქანა, „შევროლეს“ მარკის ავტომობილით თურმე არასდროს უვაჭრია, ის კი არა, მაღაზიაც არ არსებობდა თურმე მაშინ. ამის დამადასტურებლად თავად მაღაზიის მაშინდელმა მეპატრონემ მაღალაშვილმა განაცხადა: მაღაზია ახლახან გავხსენი და ასეთი მარკის ავტომანქანაც არასდროს გამიყიდიაო.

რეალურად, ეს მანქანა, ირაკლი ჩუბინიშვილის ფირმის მეშვეობით, დუბაიდან ჩამოიყვანეს.

ჩვენ ყველა საბაჟო და ტრანსპორტირების საბუთი მივაწოდეთ პროკურატურას, მაგრამ მათთვის უმთავრესი სააკაშვილის დავალების შესრულება იყო.

დღეს პანდიტი ხელახლა იძლევა ჩვენებას და აღიარებს, რომ გარიგების შედეგად დააწერინეს ჩვენება და გამოაგზავნინეს ფაქსით, პროკურატურამ კი, რაც პანდიტს დაჰპირდა, არ შეუსრულა. ის გამოიყენეს და მერე, უბრალოდ, „გადააგდეს“...

მაგრამ გავაგრძელებ ჩემს ე.წ. ბრალდებებს, რომელიც ჩემს საქმეში დევს.

„აბსოლუტ-ბანკის“ პლასტიკური ბარათი დეკლარაციაში ოფიციალურად მქონდა დაფიქსირებული, სადაც ყველა ჩემი საბანკო ოპერაცია იყო აღნიშნული, ამიტომ პროკურატურამ ბანკის თანამშრომელი კობა ბექაური აწამა და გაუპატიურების მუქარით ჩემზე ცრუ ჩვენება დააწერინა. ბექაურმა მერე მთლიანად უარყო ჩვენება და ბევრჯერ მიმართა სამართალდამცავებს წამების შესახებ, საგაზეთო სტატიაც გამოაქვეყნა, მაგრამ რეაგირება დღემდე არავის მოუხდენია.



**აი, ასეთი „ბრალდებების“ გამო მომისაჯეს, შეკრებითობის პრინციპით, თავისუფლების აღკვეთა 17 წლით და დაიწყეს ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ უსასტიკესი რეპრესიები.**

მე მებრძოდა სახელმწიფო მანქანა, სააკაშვილი კი ყოველი ჩვენი ტრაგიკული შემთხვევით ხარობდა.

ორიოდე თვე იყო გასული ხელისუფლებაში ნაცების მოსვლიდან, როცა ქონებისა და ბიზნესის მიტაცებამ ფართო მასშტაბი მიიღო.

ჩემს მშობლებს მიუვარდნენ კოჯორში და სახლიდან გამოყარეს. მამაჩემი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხევში წავიდა. სპეცდანიშნულების რაზმმა იქაც მიაკითხა. სთხოვდნენ ბაბუაჩემის ისიდორე მამალაძის მიერ 60-იან წლებში ერთსართულიანი ოდის ხარჯების წყაროს წარმოდგენას. ლოგინად ჩავარდნილ დედაჩემს შეიარაღებული ნიღბოსნები სახლში უვარდებოდნენ და დაკითხვებზე მიჰყავდათ.

თბილისში ბიძაჩემის კუთვნილი ბინა განვადებით მქონდა აღებული. ამის შესახებ დეკლარაციაშიც მქონდა აღნიშნული.

ჩემი ცოლი სამი მცირეწლოვანი ბავშვით ამ ბინიდან ქუჩაში გამოაგდეს.

გააფთრებული ეძებდნენ ხელჩასაჭიდს.

თუმცა ჩემი ქონება ისე ვერ გამოიყურებოდა, რა ფონსაც სააკაშვილის მედია მივრცელებდა — „რუსთავი-2“-ით სხვის სახლს უჩვენებდნენ, რომ თვალისმომჭრელი ყოფილიყო მაყურებლისთვის.

როცა ეს ეცოტავათ, დაიწყეს ჩემი ნათესავებისგან და ახლობლებისგან ზეწოლით ჩვენებების გამოძალვა.

დაკითხვიდან წამოსული ბიძაჩემი — 47 წლის დათო პაიჭაძე თავის სახლში 10 წლის შვილმა სისხლის გუბეში იპოვა. დათომ ვეღარ გაუძლო ზეწოლებს და სიცოცხლეს გამოესალმა.

მახსოვს, 2004 წელს, ჩემს დაბადების დღეზე მამამ დამირეკა: ჩამოდი, ბიჭო, ციხეში ვინ არ მჯდარა, იქიდან უთხარი სიმართლე ყველას და შეგეშვებიანო.

რამდენიმე დღეში გია ბარამიძეს დავურეკე: ჩამომიშვით, ჩავჯდები ციხეში, ოღონდ იმის პირობა მომეცით, რომ სამართლიანი სასამართლო იქნება-მეთქი. ბარამიძემ მითხრა, ზურა ჟვანიას დაველაპარაკებიო. მომდევნო დღეს ბარამიძემ ჟვანიას ნათქვამი გადმომცა: „არ ჩამოხვიდე, პირადად ჩემს საწინააღმდეგოდ გამოგიყენებს სააკაშვილი, სამართლიანი სასამართლო კი არა, ცოცხალი რომ დარჩე, იმის გარანტიას ვერ მოგცემთო“.

მამაჩემს ეს ვეღარ ვუთხარი, ისედაც დარდობდა, მუდმივი ჩხრეკა, თვალთვალი, შეიარაღებულთა თარეში ჩვენს ოჯახში ყოველდღიურ ნორმად იყო ქცეული. ნიღბიან ზონდერებს სააკაშვილის ე.წ. ჟურნალისტები მოჰყვებოდნენ, ყველამ იცოდა, რომ საქართველოში არ ვიყავი, მაგრამ თითქოს მე მეძებდნენ, ლოგინების ქვეშ და კარადებში მაინც ჩხრეკდნენ ყველაფერს, ოჯახს აპანიკებდნენ, რომ შოუები მოეწყოთ და ხალხისთვის ეჩვენებინათ.

ტელეფონით ბოლო საუბრისას მამაჩემმა მითხრა: „ჩამოსვლაზე არც კი იფიქრო, სასტიკად აწამებენ სულხან მოლაშვილს და არც შენ დაგტოვებენ ცოცხალს, ეგ შობელძაღლებიო“.

მამაჩემი დაუმთავრებელმა ცინიკურმა დაკითხვებმა ინსულტამდე მიიყვანა და გარდაიცვალა.

ის დღეს იმ ეკლესიის ეზოშია დაკრძალული, ჩვენი გვარისა და სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერით რომ აშენდა.

ჩემი ოცნებაა, ოდესმე მივიდე მის საფლავთან და ჩავეხუტო მამის გულზე დაყრილ მიწას, რადგან მისი იმქვეყნად გაცილების საშუალება არ მომეცა.

შვილის გარდაცვალებას ვერ გაუძლო ბაბუაჩემმა შალვა პაიჭაძემ და ისიც იმ ხანებში გარდაიცვალა.

რეპრესიები შეეხო ყველა ჩემს ახლობელს. ჩემი სიძე გოჩა ანთიძე უკანონოდ დააკავეს, კარცერში ამყოფეს და სანამ ჩემს დას ერთადერთი ბინა დიდ დიღომში არ გააყიდინეს, არ გამოუშვეს. გოჩა ციხეში დაავადდა და გარდაიცვალა. ხანში შესული ჩემი ნათესავი ამირან ყაჭეიშვილი სიმსივნით საავადმყოფოში იწვა, სპეცნაზელები მიუჩინეს, თვალისმომჭრელ სცენებს დგამდნენ და ტელევიზიით გადასცემდნენ. ამგვარმა ზეწოლამ მასაც სიცოცხლე მოუსწრაფა. ჩემი დები და ძმა, ასევე ახლობლები, თუკი ვინმე სადმე მუშაობდა, ყველა დაითხოვეს სამსახურიდან და სიცოცხლე გაუმწარეს, გაუთავებელ დაკითხვებზე ატარებდნენ.

მაშინ ჩემი ანამარია 8 წლის, ნიკა კი 7 წლისა იყო. სკოლის დირექ-

10 გვ. →

# ლევან მამალაძის ღია წერილი ქართველ საზოგადოებას

← 9 გვ.

ტორს, სადაც სააკაშვილის შვილებიც სწავლობდნენ, მოსთხოვეს ჩემი შვილების დაუყოვნებლივ სკოლიდან გაგდება. ბავშვებს აუტანელი გარემო შეექმნათ. კეთილმა ადამიანებმა გვაცნობეს, რომ სააკაშვილის დავალებით, ზონდერებს ჩემი შვილების გატაცება ჰქონდათ დაგეგმილი, რომ ჩემი შეპყრობის მიზნით, ოჯახი დაეშანტაჟებინათ. ჩემი მეუღლე,




მარიკა, იძულებული გახდა, საქართველოდან გახიზნულიყო. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისთვის, რომ თვალთვალს გაქცეოდნენ და და არაოფიციალური გზებით ქვეყანას გასცლოდნენ. ასეთი ურთულესი გზით უკრაინაში ჩამოვიდნენ. აქაც არ გველოდა მშვიდი ცხოვრება. მოგზავნილი ქილერებისგან თავის დაღწევა იოლი არ იყო... მაშინ ჩემი უმცროსი ვაჟი ლევა ორწლინახევრის იყო, როცა ჩავეხუტე, ასე მითხრა: „სააკაშვილმა სათამაშოები წამართვაო“.

**ანამარია და ნიკა უკრაინულ სკოლაში რომ მივიდნენ, ცოტა ხანში დამრიგებელმა დაგვიბარა და გამოკითხვა დაგვიწყო. საქმე იმაში იყო, რომ ბავშვებს, თურმე, უნდა მოეყოლათ, ვინ როგორ გაატარა ზაფხული. ჩემები ჩხრეკისა და ნილბოსნების მოვარდნის სცენებს ყვებოდნენ, ნახატებში კი ხელებაწეულს ხატავდნენ თავიანთ თავს შეიარაღებული სპეცნაზელების ფონზე.**

ვიხსენებ ყოველივეს და თვალზე ცრემლი მადგება. ვისაც ეს არ გაუვლია, ვერ ჩაწვდება ამ მძიმე განცდებს.

ალბათ, გახსოვთ, ცნობილი ფილმი „მონანიება“, ან ფაშისტური რეჟიმის მიერ წამებულნი. სწორედ ასეთი სისხლიანი რეპრესიები დატრიალდა ჩვენს თავზე. ადამიანი სხვისგან ელის ისეთივე ქცევას, როგორც თვითონ მოიქცეოდა, თუმცა აზრადაც კი არ მომსვლია, შესაძლებლობა რომ გამჩენოდა, სააკაშვილზე და მის ოჯახზე რეპრესიები განმეხორციელებინა.

მე და ჩემი ოჯახი მხოლოდ იმისთვის დავისაჯეთ, რომ მე პოლიტიკაში ვიყავი აქტიურად ჩაბმული და სახელმწიფო ინტერესებს ვიცავდი. მიშა კი კონკურენტად და მოწინააღმდეგედ აღმიქვამდა. მე რომ პოლიტიკაში არ ვყოფილიყავი, სააკაშვილს არ დავპირისპირებოდი, ან მეღალატა მაშინდელი პრეზიდენტისთვის და სახელმწიფო ინტერესებისთვის, არავინ აღძრავდა საქმეს და არც რეპრესიები განხორციელდებოდა ჩემზე. შეგახსენებთ, **ჩემი საქმე, რომელიც სააკაშვილის პროკურატურამ ჩემი ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციის გამოძიების შედეგად შეკერა, ამასაც რომ დავეყრდნოთ, ვერავინ იპოვის ერთ თეთრსაც, რომ რამე საბიუჯეტო თანხა იქნა გამოყენებული, ან რაიმე ფორმით ზიანი მივაყენე სახელმწიფოს.**

დადგა 2012 წელი და დააკვირდით, წინა ხელისუფლების რომელ წარმომადგენელზე განხორციელდა მსგავსი რეპრესიები?!

ხშირად გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ანიჭებენ საკითხებს პოლიტიკურ დატვირთვას. არადა, სადაც სამართალი და კანონია, ჩემი საქმე პოლიტიკური დევნის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. სწორედ პოლიტიკური მოტივაციის გამო უკრაინამ 2004 წელს დევნილის სტატუსი მომანიჭა.

დღემდე ზუსტად ვერ დამიდგენია, რა თქვეს ჩემზე ჩემმა არაკეთილმოსურნეებმა ისეთი, რის გამოც **დაუსაბუთებლად ამომიღეს 2012 წლის პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა საპარლამენტო სიიდან. მეუბნებიან, რომ სიიდან თინა ხიდაშელის კატეგორიული მოთხოვნით ამომიღეს.**

ფრთიან ანგელოზობაზე თავს არ ვდებ, მაგრამ გამოიკვლიონ ჩემი ყველა ნამოქმედარი, მოიძიონ ჩემი დღევანდელი მდგომარეობა და შემოსავლები და ნათელი გახდება, რომ დანაშაული არ ჩამიდენია და არც არასდროს ვყოფილვარ ფუფუნებაში, იმის მიუხედავად, რომ საზოგადოების ნაწილი გავრცელებული ჭორებით დაარწმუნეს და მონსტრად გამომაცხადეს, ჩემს საქმეში არ არსებობს ფაქტი ან მტკიცებულება, რომელზეც პასუხი არ იყოს გაცემული და რაიმე დანაშაულს ამტკიცებდეს. მოწმეებმა, რომელთა ჩვენებებზე დაყრდნობით შეკერა პროკურატურამ საქმე, დააფიქსირეს, რომ მათზე ხორციელდებოდა ზეწოლა და გარიგების სანაცვლოდ ჩამოართვეს ცრუ ჩვენებები.

2012 წლის შემდეგ მრავალჯერ მივმართე პროკურატურას. მასალები პროკურატურაში სპეციალურად შექმნილ „სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულებების გამოძიების დეპარტამენტში“ დევს.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივ ჭრილში, ჩემი საქმე არსად არ განხილულა. სამწუხაროდ, პროკურატურაში დღემდე მუშაობენ ის პროკურორები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ჩემს უკანონო დევნაში და ჩემი ახლობლების სიცოცხლის ხელყოფაში. სასამართლოშიც მსგავსი ვითარებაა, წინასწარ მითხრეს, რომ ჩემი საკითხის განხილვაზე იტყვიან უარს.

ასეთმა მიდგომებმა გადამაფიქრებინა საქართველოში ჩამოსვლა და ციხიდან სამართლისათვის ბრძოლა. სააკაშვილის ზონდერი პროკურორები იმას ლამობენ, ჩარაზული მიხილონ საკანში.

მე მზად ვარ, ყველა მოგონილ თუ რეალურ ბრალდებაზე პასუხი ვაგო, ოღონდ მომეცეს საშუალება, რომ ღია სასამართლოზე წარვსდგე. საქართველოში თავისუფლად ჩამოსვლის შემთხვევაში, მე თვითონ გავუკეთებ ინიცირებას და სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის გასამართლების პრეცედენტს შევქმნი.

2015 წელს ინტერპოლმა აღიარა ჩემს მიმართ პოლიტიკური დევნა და საერთაშორისო ძებნა გამიუქმა. მიუხედავად ამისა, საქართველოში რაიმე სამართლებრივ პროცესს ვერ მივაღწიე.

იმავე წელს პრეზიდენტ მარგველაშვილს მივმართე განცხადებით. მარგველაშვილმა მიპასუხა, საკითხი პოლიტიკური არისო, აერიდა სააკაშვილთან დაპირისპირებას.

ყველამ იცის, რომ სააკაშვილმა სამართალი თავის თავზე მოირგო და თავი დემოკრატიის შუქურად გამოაცხადა. მან დააფუძნა ელიტური კორუფცია, შექმნა რეჟიმი, რომელიც ანადგურებდა ყველას, ვისი საჭიროებაც გაჩნდებოდა, ქვეყანა შიშსა და ტერორში მოაქცია, გამოავსო ციხეები, წამება და ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ნორმად აქცია. ტერიტორიების დაკარგვის ფონზე, საზოგადოება ვითომდა კეთილდღეობის ვიტუალურ რეალობაში აცხოვრა, რომლისგანაც ზოგი დღესაც ვერ გათავისუფლებულა. ასეთი რამ არც ერთ მმართველს არ გაუკეთებია სამშობლოსთვის, ასეთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია საკუთარი ხალხისთვის.

2012 წელს, როცა ჯერ კიდევ შიში იყო დამკვიდრებული, კონსპირაციულ პირობებში, ქვემო ქართლის მოსახლეობასთან და სხვა რეგიონებშიც, ვატარებდით წინასაარჩევნო აგიტაციებს, რომ სისხლიანი რეჟიმი დასრულებულიყო საქართველოში.

სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანიაშიც, ჩემს საახლობლო-სანათესაოსთან ერთად, აქტიურად ვიყავი ჩართული.

2020 წლის დასაწყისიდან რამდენჯერმე მივმართე ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს შეწყალების თხოვნით. ჩვენ არ შეგვიწუხებია ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები, თუმცა დღენახევარში, ჩემი შეწყალების მხარდამჭერ პეტიციას, 4000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოება პოზიტიურად უყურებს ჩემს დაბრუნებას საქართველოში. ჩვენი მხარდამჭერები აქტიური ქმედებისთვის არიან მზად, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს პრეზიდენტი დროულად განიხილავს ჩემს თხოვნას.

კვლავ ვიმეორებ: რაც ჩემზე განხორციელდა, რეპრესიების და პოლიტიკური დევნის კლასიკური მაგალითია და არ შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ ჩემი თხოვნა რეაგირების გარეშე დატოვოს.

ბევრს ვფიქრობ იმაზე, რატომ უნდა იზრდებოდნენ ჩემი შვილები უცხოობაში, მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილები.

მე და ჩემმა მეუღლემ შვილებს არ დავავიწყეთ ქართული ენა და ტრადიციები, ისინი შორიდან ეტრფიან საყვარელ სამშობლოს.

ანამარია 23 წლისაა, ოსტინის უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა და იურიდიულ კომპანიაში მუშაობს ტეხასში. 22 წლის ნიკოლოზი საერთაშორისო იურისპრუდენციის მაგისტრია, 18 წლის ლევა ტურიზმის და სასტუმრო საქმის სპეციალობით სწავლობს.



პირადად მე, ამ ხნის განმავლობაში, ღირებული გამოცდილება შევიძინე სოციალური ფსიქოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, კრიზის-მენეჯმენტის, სტრატეგიული ანალიზისა და დაგეგმარების განხრით.

ყველა მეკითხება, საქართველოდან ბევრი წასვლაზე ოცნებობს და რად გინდა დაბრუნება ან რას გააკეთებ რომ ჩამოხვალო.

ვისაც ემიგრაციაში არ უცხოვრია, ვერ მიხვდება, რაოდენ მძიმეა სამშობლოსგან განშორება.

პოლიტიკის დაუნდობელ მორევში განმეორებით შესვლას არ ვაპირებ. თუ შესაძლებლობა მომეცემა, საქართველოში ტურიზმის, სოფლის მეურნეობის კრეატიული მიმართულებებით და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით მინდა დავკავდე. მოვამზადო შესაბამისი საინვესტიციო პროექტები, მოვიზიდო ინვესტორები, ვიმუშაო სამეცნიერო და შემოქმედებით სფეროში.

მესმის, რომ ადამიანებს შეხედულებები ინფორმაციის საფუძველზე უყალიბდებათ. ამ წერილმა კი, ზოგი უგულო და ურწმუნო, შეიძლება, გააღიზიანოს კიდეც, რადგან ვერ თავისუფლდებიან სააკაშვილის დამღუპველი სინდრომისგან. აზრის ფორმირების სოციალურ და ნეიროფსიქოლოგიურ ასპექტებზე სამეცნიერო შრომები მაქვს გამოქვეყნებული და, შემიძლია ვთქვა, სიღრმისეულად ვიცნობ ასეთ საკითხებს.

საქართველოში ზოგს დავავიწყდი, ბევრი, შეიძლება, არც მიცნობს და მხოლოდ დეზინფორმაციაზე დაყრდნობით აქვს ჩემს შესახებ შთაბეჭდილება შექმნილი, მაგრამ, გთხოვთ, დაფიქრდით: ვინ და რის გამო ავრცელებდა ჭორებს და რა პოლიტიკური ანგარიშსწორების გამო რატომ ვარ დღემდე დევნილობაში. საქართველოში ხომ დემოკრატიული პრინციპები მკვიდრდება, აღარ არის ძალადობა, წამება და ადამიანთა ღირსების აყრა.

მე, პირადად, არ ვიცნობ პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს, თუმცა, მიმაჩნია რომ, ბატონმა ბიძინამ შეუძლებელი შეძლო და საქართველოს ჩამოაშორა ძალადობრივი რეჟიმი. ის ეხმარება ქვეყანას და უამრავ ადამიანს უმართავს ხელს, ქართული საზოგადოება არ უნდა იყოს უმადური და ამისთვის მადლობა უნდა ვუთხრათ ბიძინა ივანიშვილს.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემს მიმართ დასრულდება სააკაშვილის მიერ გავრცელებული, დეზინფორმაციაზე დაყრდნობილი შთაბეჭდილებების ეპოქა და სიმართლე თავის გზას იპოვის.

ყველას მინდა გთხოვოთ, გაითვალისწინოთ ჩემი მდგომარეობა.

არ არსებობს სასჯელი იმაზე მძიმე, ვიდრე 17 წელი სამშობლოდან მოწყვეტილი, დევნილობაში იმყოფებოდე.

მეტი რა უნდა მოხდეს, რა სახის პანდემია და ჟამიანობა? — ასეთ დროს მხეციც კი არ ესხმის პირუტყვს თავს, მე რა დავაშავე ისეთი, რომ ამდენი ხანი სამართლიანობის აღდგენას ვერ ვეღირსე?!

დედაჩემი 80 წლისაა, მის გვერდით მინდა ვიყო.

გთხოვთ დახმარებას, დამაბრუნეთ ჩემს მიწა-წყალზე, ჩემს სამშობლოში, ჩემს ცოლ-შვილთან ერთად.

პატივისცემით,
**ლევან მამალაძე**

მოამზადა
**ირანდა კალანდაძემ**
593 56 11 18

# დევი ჭანკოტაძე ერთ-ერთი იმ ნაძირალათაგანი გახლავთ, რომლებმაც მთელი სამხედრო ტექნიკა უბრძოლველად ჩააბარეს რუსებს



***ვაგრძელებთ საუბრების ციკლს კუდის ყოფილ თანამშრომელთან ნიკა ბერიძესთან***

**ნიკა ბერიძე:** ნაციონალებმა, როგორც ჩანს საარჩევნოდ თავიანთი საპარლამენტო სიის „სერიოზულად" გაძლიერებას აპირებენ, რადგან „დამრტყმელი ძალის", არტილერის დევი ჭანკოტაძის გადეპუტატება განუზრახავთ.

ჭანკოტაძემ 1982 წელს დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი, ანუ „ტაუ", როგორც კომუნისტების დროს უწოდებდნენ. 1982–90 წლებში მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში, ეს განსაკუთრებით იმ კონტიგენტის საყურადღებოდ, ოპონენტის რიგებში რომ ეძებენ რუსეთუმეებსა და კრემლის აგენტურას.

შემდგომ წლებში ჭანკოტაძე გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობას იკავებდა, პარალელურად დსთ-ის ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბში სამხედრო წარმომადგენელი, სამხედრო ატაშე რუსეთში (2004–2005 წწ). 2005 წელს იგი დაუთხოვიათ სამხედრო სამსახურიდან, თუმცა 2007 წელს სახმელეთო ჯარების საარტილერიო ბრიგადის მეთაურად დანიშნეს და ერთი წელი იყო თანამდებობაზე. დევი ჭანკოტაძეს ორჯერ ეკავა გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობა (2000–2004 და 2008–2009 წწ), სააკაშვილმა შემდგომ დააწინაურა და 2009 წლიდან ხელისუფლების შეცვლამდე ჭანკოტაძე გენშტაბის უფროსი გახლდათ.

ნიკა ბერიძე: ჩვენ კი ვიცით რეალობაში რას წარმოადგენს გენერალი ჭანკოტაძე, მაგრამ არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც ვერ ერკვევა ვინ ვინ არის, ამიტომ მინდა საზოგადოებას გავახსენო მისი „მოღვაწეობა". ეს იყო თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის ერთი ჩვეულებრივი ვირთხა, რომელიც ბაჩო ახალაიასა და დავით კეზერაშვილის ფავორიტი. 2008 წლის ომამდე ჭანკოტაძე სენაკის ერთ-ერთ ბრიგადის მეთაური იყო, იქ სულ რამდენიმე თვე დაჰყო, მალევე დააწინაურეს, გადმოიყვანეს დედაქალაქში და გენშტაბის უფროსად დანიშნეს, ასე რომ, მის დაქვემდებარებაში იყო აბსოლუტურად ყველაფერი. საომარი ვითარების დროს, გენშტაბის უფროსი და მისი პირველი მოადგილე პრეზიდენტის, ანუ მთავარსარდლის მერე მეორე-მესამე პერსონებია. აგვისტოს ომის დროს, თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი ჭანკოტაძეს ექვემდებარებოდა და ემორჩილებოდა. ომის შესახებ წესდებასა და კანონში წერია, რომ სამხედრო ბაზასა თუ ფრონტის ხაზზე არავითარი ტყვია-წამალი, სამხედრო ტექნიკა და ტრანსპორტი არ უნდა დარჩეს, არანაირი ტექნიკა არ უნდა შესულიყო არასწორი მიმართულებით. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, როგორ ჩაამწკრივეს გორი-ცხინვალის გზაზე უამრავი ტექნიკა, შვიდი საათი დაქოქილ მდგომარეობაში როგორ გააჩერეს, გამოწურეს საწვავი და მტერს დაუტოვეს. ერთი სიტყვით, წინასწარ ჰქონდათ განლაგებულ-გამზადებული და საერთოდაც, ყველაფერი „კარგად" იყო მომზადებული და შეთანხმებული რუსეთის მაღალჩინოსნებთან მაშინდელი ხელისუფლების მიერ. ერთ-ერთი ამ ნაძირალათაგანი გახლავთ დევი ჭანკოტაძე, რომელიც უშუალოდ რუს გენერლებთან პირდაპირ აწარმოებდა ურთიერთობას, ისევე როგორც გივი თარგამაძე გაგანია ომის დროს, რომ საქართველოს ტერიტორიების 20%,




ძირძველი ქართული მიწები, ისტორიული სვანეთი, კოდორის ხეობა და ცხინვალის რეგიონი მტრისთვის გადაეცათ. უტყუარი ინფორმაცია მაქვს, რომ ნაცმოძრაობას უნდა დევი ჭანკოტაძე მომავალ პარლამენტში შეიყვანონ. ნაცებმა იგი თავიანთ საარჩევნო სიაში იმიტომ შეიყვანეს, რომ საზოგადოების თვალში შედარებით ნაკლებად გამაღიზიანებელი ფიგურაა. თითქოს იმდენად არ ყავდათ იგი გასვრილი, მაგრამ რაც ომის დროს ჭანკოტაძემ გააკეთა, მძიმე დანაშაულია, ამხელა თანამდებობის პირმა სენაკის ბაზაზე აბსოლუტურად ყველაფერი დატოვა სხვა იქაურ ხელმძღვანელობასთან ერთად, ვგულისხმობ ტყვია-წამალს, ვერტმფრენებს, სხვა ტექნიკას, სურსათს და რაც ყველაზე მთავარია, ჰაუპტვახტში გამოკეტილები დატოვა რამდენიმე ჯარისკაცი და თუ არ ვცდები ორი ოფიცერი, ასე შვიდი-რვა სამხედრო მოსამსახურე ბრიგადის მაშინდელმა მეთაურმა ე.წ. პოლკოვნიკმა მერაბ კიკაბიძემ. რუსი სამხედროები რომ შევიდნენ ბაზაზე და ნახა მათმა გენერალმა ციხეში გამომწყვდეული ჯარისკაცები, გაუღეს კარი და გაუშვეს. არ მომერიდება იმის თქმა, რომ სამხედრო ტრიბუნალზეა გასაყვანი და დასახვრეტი ბრიგადის ეს მეთაური.

გამოდის რუსებმა საკუთარ ხელმძღვანელობაზე მეტი კეთილშობილება გამოიჩინეს? სხვათა შორის, ჩემთან ინტერვიუში ძალიან უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდნენ ყოფილი თუ მოქმედი ძალოვანები კიკაბიძეს. სხვა მედიასაშუალებებიც წერდნენ სისასტიკით ცნობილი პოლკოვნიკიო.

-კეთილშობილების რა მოგახსენოთ, იმ რუს გენერალს იმდენი ჯარისკაცი ყავს ნანახი და იცის რას ნიშნავს. ჩვენ ბიჭებს შეეკითხნენ ვინ იყვნენ, რა ჩინი ჰქონდათ, მოგეხსენებათ ესინი რიგითები იყვნენ, ბატალიონის მეთაური, ან სხვა მაღალი ჩინისა და თანამდებობის ოფიცრები რომ ყოფილიყვნენ, სავარაუდოდ მაშინვე დახოცავდნენ. სააკაშვილმა შემდეგ ჩამოიყვანა ბრიგადის მეთაური კიკაბიძე თბილისში და დააწინაურა, ხოლო ჭანკოტაძე გენშტაბის ხელმძღვანელად დანიშნა. მერაბ კიკაბიძე ახლა უკრაინაშია, ის მართლაც ძალიან ცუდი ადამიანია. ჩემი ინფორმაციით, ეს ე.წ. პოლკოვნიკი სულ იმას ცდილობდა როგორ „გაეფუჭებინა" თანამშრომლები, ათას სიბინძურეს „უჩალიჩებდა", რომ სამსახურიდან გაეგდო, ციხეში ჩაესვა და ა.შ. ნაცების ლიდერშიფს უკრაინაში ყავს ჩაყვანილი ყოფილი ძალოვნების, სადისტების „კამანდა" და საქართველოს წინააღმდეგ ამზადებენ. ეს მე არაერთხელ მითქვამს საჯაროდ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რეაგირების შედეგი ნულია. იქ ამზადებენ ამ ჯგუფებს მიშა სააკაშვილი, გოგი თათუხაშვილი, თავად თემურ ალასანია, გიგი კალანდაძე და ლეგიონის მეთაური მამულაშვილი. თვითონვე ნახავთ, ეს ჯგუფები აუცილებლად ჩამოვლენ საქართველოში და შეეცდებიან არეულობის მოწყობას. უკრაინაში პორტირებული ნაცებიც ეცნობიან რეიტინგების სტატისტიკას, იციან მათი ხელისუფლებაში მოსვლის შანსი ნულია. ადრეც გითხარით, 2019 წელს 20 ივნისს, პარლამენტის წინ მოწყობილი არეულობის დროს ოცამდე ჯარისკაცი სახეზე ვიცანი, რომლებიც პირდაპირ უკრაინიდან იყვნენ ჩამოსულები. ეგენი თავის დროზე გიგი კალანდაძისა და ბაჩო ახალაიას ფავორიტი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც მათ ბინძურ დავალებებს უყოყმანოდ ასრულებდნენ. მთელი ეს სადისტური მანქანა უკრაინაში ყავთ გადასროლილი. სააკაშვილი 2013 წლის შემოდგომაზე, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ უკრაინაში რომ წავიდა, ეს „შლეიფიც" გაყვა. მიშამ ოდესის ოლქის გუბერნატორობის დროს უზარმაზარი ფული იშოვა ისეთ მომგებიან „ბიზნესში", როგორიცაა იარაღით უკანონო ვაჭრობა, ნარკოტრეფიკინგი, მაგისი ალქაჯი ცოლი სანდრა-მფატრავად წოდებული ჩართული იყო ადამიანი ორგანოებით უკანონო ვაჭრობაში. სააკაშვილი ჩართული იყო ქარვის ბიზნესშიც, რაც ასევე ძალზე მომგებიანია. მას რა თქმა უნდა ჭორდება ფული თავისი დამქაშების გამოსაკვებად და საქართველოში არეულობის მოსაწყობად.



მიშა და პოროშენკო ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ მაშინ ეს ქართული დაჯგუფებები დაიშალა, მაგრამ ადგილზე დარჩა. სააკაშვილს უკრაინაში ნაყიდი აქვს უზარმაზარი კონსპირაციული ბინები, ოღონდ რა თქმა უნდა სხვა პირების სახელზე აქვს რეგისტრირებული. ქართველი „ხიზნები" იმ ბინებში ყავთ განლაგებული, ყოველდღე „პაიოკის" სახით, საჭმელ-სასმელითაც ამარაგებენ, ზოგი მათგანი პროკურატურაშია დასაქმებული, ზოგიც სხვა სტრუქტურებში. როგორც კი სააკაშვილს დაჭირდება აქ მათი თავი, მაშინვე დარეკავენ უკრაინაში და ყველა ჩამოვა. აი, ეს ხალხი ვინც ჩამოგითვალეთ, უამრავი დანაშაულის „შემოქმედია", მაგრამ რად გინდათ, აგო ვინმემ პასუხი?! მერაბ კიკაბიძე, იმის მაგივრად ციხეში იჯდეს, უკრაინაში დასეირნობს. სენაკის ბრიგადის მეთაურის რანგში, ხომ გაატანა მტერს მთელი შეიარაღება, თავისი სურსათით, თანხებით, ინვენტარით, ვერტმფრენებით, მხოლოდ ის გადარჩა, რაც შიდა ქართლში გადასროლ ჯარისკაცებს თან ქონდათ, საკუთარი ხელქვეითები სასიკვდილოდ გაწირა გისოსებს მიღმა გამოკეტილები და ცხინვალის ფრონტზეც „ისახელა" თავი. ერთადერთი ისაა, რომ პროკურატურას წარმოებაში ტომები უდევს, მაგრამ დამნაშავეებს პასუხს როდის მოსთხოვენ, კაცმა არ იცის. აგერ დევი ჭანკოტაძეს პარლამენტარობა ნებავს, რომ იმუნიტეტითაც აღიჭურვოს. საზღვაო ძალების სარდლის ყოფილმა მოადგილე, ჩემმა ახლობელი ვიქტორ ჭელიძე ის 2007 წელს ამბობდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა, მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება. სამარცხვინო ომის „შემოქმედნი" ზოგი პარლამენტში ზის, ზოგი პარლამენტარობისთვის ემზადება, ზოგი შემოსავლიან სამსხურშია, ნაწილიც უცხოეთში ტკბება სამშობლოს გაყიდვით ნაშოვნი ფულით. ისეთი პროფესიონალი და პატრიოტი, როგორიც






13 გვ. →

სერგი საჯაია

# „ჭყოლირ გურსუ ვამიჭუა“

დედა საქართველოს ყველა მხარეში მომხდურთან ერთად ადგილზე გამოჩორკნილი ვათანძარა დღეს არგამად ცდილობს მკერდშენგრეულ ქვეყანას საკონტროლო ტყვია დაახალოს.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ყოველთა ქართველთა საკირის ცეცხლი მეგრელების გულში მძვინვარე ახანძრებაცაა, ხოლო სამსხვერპლო — დანაშაულებრივი უვიცობისგან მიიქეთ-მოაქეთედ „გადასხვადასხვაქვეყნებული“ საქართველო!..

ამჯერად, საგანგაშო მდგომარეობა, რაზედაც წინამდებარე წერილი დაიწერა, ასეთი გახლავთ: მიმდინარე (2020) წლის 3 ივნისს ტელეკომპანია „ობიექტივის“ გადაცემაში „ღამის


გია არეშიძე

სტუდია“, ჟურნალისტმა ბონდო მძინარიშვილმა აშშ-ს პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის წინააღმდეგ დაქსელილ დივერსიებზე სასაუბროდ მოიწვია ამავე ტელესტუდიაში მოსაქმიანე „ექსპერტი“ გია არეშიძე.

გეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაში დონალდ ტრამპისადმი მიმიზნებული, ერთი შეხედვით — ძირითადად აფროამერიკული, სინამდვილეში კი ტექნოკრატიულ ავმოსურნეობათა ამბოხის მიზეზი გახლავთ აგრესიული გლობალიზმის ხელებით მართულ ლიბერასტთა პროგრამული იერიში საკაცობრიო ღირებულებათა წინააღმდეგ, ხოლო ფერადკანიანი ჯორჯ ფლოიდის დაღუპვა მხოლოდ სატყუარა საბაბად გამოიყენეს. ყველაფრის მიუხედავად, ასეთი სიკვდილი, ცხადია, საზოგადოების თანაგრძნობასა და გამოხმაურებას უდაოდ მოითხოვს, მაგრამ ამ მოცემულობის ნიღბად აფარება შორსგამიზნული ქვეშქვეშობისათვის — ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უზნეობასთან ერთად სისხლის სამართლის დანაშაულია. ამაზე შევთანხმდეთ.

რაც შეეხება ბატონ გია არეშიძის „საექსპერტო“ დებულებებს ამ მხრივ, მათი განხილვისთვის არ დაგაყოვნებთ არც თქვენ და მეც მსგავს საკითხებში მივემოწაფები უფრო აკადემიურ, დროსა და სივრცეში დაუბნეველ მართლა ექსპერტთა პოლიტოლოგიურ დასკვნებს.

სხვა რამისთვის შევუჩერდი „ექსპერტ“ გია არეშიძის ზემოთ აღნიშნულ მიმოხილვაში მონაწილეობას: — **მსგავსი პრობლემაო, ხმამაღლა, მტკიცებითი თითისქნევით განაცხადა მან, — საქართველოშიც გვაქვსო. მაგალითად, მეგრელები და სვანები ძნელად ინტეგრირდებიან ქართველებთან, ვიდრე იმერლებიო.**

პატივცემულმა „ექსპერტმა“ ამით ის გვითხრა, რომ მეგრელები, უპირველეს ყოვლისა, გახმოვანებული წინადადების ქვეტექსტის მიხედვით *რაღაც ხალხი ყოფილან, რომლებიც ქართველებთან ადვილად ვერ ინტეგრირდებიან (იმერლები სჯობნიან ამ მხრივ, თუმცა, იმერლებიც „მთლად ქართველები ვერ ყოფილან“ — ინტეგრირების კარანტინი მათაც მოეთხოვებათ!), მეორეც, — თუ ქართველთან ინტეგრირება სჭირდება ამ „ეთნოსიმრავლეს“, რაც თურმე უძნელდება, მაშინ ისინი ქართველები არ ყოფილან და „ექსპერტი“ გია არეშიძე თუ სისწორეს ღაღადებს, ასეთ შემთხვევაში სამეგრელოსთვის ვინმეები და მეგრელებისაგან ამის გამო ზურგშექცეული იური ღვინჯილია და ედემ იზორია, ცამდე მართალნი ყოფილან, როცა 2019 წლის 24 თებერვალს ზუგდიდის შუაგულში სახტად დარჩენილი და აღშფოთებისაგან ხერშვინით გაერთმუშტებულ მეგრელთა თვალწინ, როგორც ასეთ დროს ამბობენ, ხანგას აკვიატებით განაცხადეს — საქართველო სამეგრელოში ოკუპანტიაო!...* ***(ვავა სკანშენი იურაში დო ედემიშ ჭიჭე ჭკუას და უი ექსპერტ გია არეშიძის წინგაუხედაობას!)*** *მესამეც: რაც მთავარია, საქართველოში მეგრელები, ისევე, როგორც აფროამერიკელები აშშ-ში, ბატონი გიას „დაზუსტებული“ ალბათობის შესაბამისად, შეიძლება, საფრთხედ იქცნენ სრულიად საქართველოს სამარადიულმყოფო ძალისხმევაში.*

საბედნიეროდ, ბატონმა ბონდომ, იმ დროს, როდესაც თავისი მიგნებით ფრთაშესხმულ „ექსპერტ“ გია არეშიძეს ის-ის იყო, „ევრიკა“ უნდა დაეძახა და საღერღელაშლილს **„მეგრულ საფრთხეებზე“** აწი უნდა ელაპარაკა, დიახ, მისმა გამოცდილებამ და გუმანმა დროზე შეაჩერა აშკარად დაუკრეფავში შეჭენებული და საფიხვნოდ თავდადგენილის დებულებათა კიდევ უფრო საჯაყ უმეცრებაში ახვიხვინება.

**ხმამაღლა ვამბობ, მსგავსი დებულება გახლავთ ქიმიური იარაღი, რომელიც მიემიზნა ყოველთა ქართველთა ერთსხეულებას, ერის გონითი განფენის სივრცეს, მის ჯიშისმიერ მოსაზღვრულობას, ქვეყნის მარადიულყოფის ძეგლისდებას.**

ასეთ დროს, ამასთან დაკავშირებით პირდაპირ უნდა განვაცხადო: „ექსპერტი“ გია არეშიძე ძალიან ზერელედ იცნობს ქართველი ერის დედანი შინაარსის შესახებ წმინდა ილია მართლის სახელმძღვანელო სწავლებებს. განსაკუთრებით იგრძნობა, რომ არ უგაკვეთილია სრულიად საქართველოს მიერ მახვშად აღიარებულის მისამოწაფებული წერილი — „ზოგიერთი რამ“ (1876 წ.), რომელიც მას ამ ბოლო „ექსპერტობის“ დროს საერთოდ მიავიწყდა.

უკვე გითხარით, — იგი თავადაა ძალიან არასაიმედოდ ინტეგრირებული საქართველოს მხარეებთან, მათ შორის, პირველ რიგში, სამეგრელოსა და მეგრელებთან.



სწორედ ესაა იმის მიზეზი, — მეგრელთა რაგადობა მას არ მიაჩნია დედოქართულის მშობლიურ ნაირსახეობად, რაც ასე ეიმედებოდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილსა და ა.შ. სალიტერარტურო ქართულის ამოუწურავ უნჯად მიაჩნდათ მათ ეს ღვთივკურთხეულობა.

მისთვის საქართველო დღესაც ცენტრ-ნაცმენური იერარქიით განიხილება. რაც შეეხება თბილისს, ამ წუთამდე იგი, სათავშისაცემოდ ჩვენდა, ე.წ. ელიტად თავდადგენილთათვის ინტერფრონტულად ფეხაწყობილთა დედაქალაქად მოიაზრება. აქ რომ ლიბერასტული მეთქვა, არსი არ შეიცვლებოდა.

სხვათაშორის, ვერ გეტყვით თუ სად იქნევდა ბატონი გია საკუთარ ძალისხმევას 1992–93 წლებში, როდესაც ცენტრ-ნაცმენურმა გაგიჟებამ განსაკუთრებით სამეგრელოზე გადაითარეშა, მაგრამ მისი მსჯელობიდან გამომდინარე, ეტყობა, იმ ბანაკში იღვრებოდა ოფლად, სადაც სამეგრელოზე გადამუხლუხებას „ქსა-ჰარიქათი“ ეთანამგზავრებოდნენ და დანარჩენ საქართველოს, არწმუნებდნენ რა მეგრელთა „პირუმტკიცობასა“ თუ „ნაკლებ ქართველობაში“, ასეთი „ახალი ამბებით“ ხრჩოლავდნენ სრულიად საქართველოს ერთსხეულობის სასუნთქ ორგანოებს: **„ავიღეთ მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ფოთი, ხობი, ზუგდიდი“...**

სწორედ წინამდებარე „ექსპერტის“ მსგავსი ბოროტმოქმედული დებულების საფუძველზე დაიგეგმა 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ადამიანის გონებისთვის შემაძრწუნებელი ვერაგობა, როცა კოდორ-ჭუბერის ვიწროებში გასაძარცვად საგანგებოდ შეტყუებულ უმწეო დევნილებს ხუნტის რეკეტი კუდის ძირამდე ძარცვავდა, სულში აფურთხებდა, რაც, ასევე, ამ ხეობათა ძირძველი მოსახლეობის მეზობელ მხარეებთან დასაპირისპირებლად იყო ჩაფიქრებული, ამავე დროს, სრულიად საქართველოს გასაგონად სისხლიანი ხუნტა ირწმუნებოდა, სამეგრელო დევნილებს არ ღებულობსო **(ცნობისთვის: იმხანად სამეგრელოში 195 ათასი დევნილი იყო).**

ამასთან დაკავშირებით ვინც საპასუხოდ გაირჯება, იმას ვურჩევ, არ მეკამათოს ასეთ საკითხებზე, რადგან მევალებოდა და იმიტომ ვიცი, ვინ, სად, როდის და ვის მიერ, რომელ ბუჩქთან გაიძარცვა. ყოველივე ამაზე სახელისა და გვარების, დღეებისა და თარიღების მიხედვით ვილაპარაკოთ? მზად ვარ: კი ბატონო, გარწმუნებთ, „ობიექტივზე“ უკეთ თუ არა, არანაკლებ ვიცი, რომელ ჭერქვეშ დააპურეს, გაათბეს, მოეფერნენ უმწეო ადამიანებს. მაგრამ სხვა



რამეც ვიცი — წესით მომმისგან ენით უთქმელ ვერაგობათა ამოკივლებას ვეკაშხალები დღემდე, რათა, მართლა არ შეგვზარდეს ეს ცისქვეშეთი. ამიტომ, ნუ გავახარებთ ჩასაფრებულ ავმოსურნეს, მოდით, ნამუსი შევუნახოთ ქვეყანას. ამას გეუბნებით კაცი, რომელმაც ბატონი ზვიადის დავალებით, თანამოაზრეებთან ერთად, რაც შემეძლო, ის გავაკეთე, რათა არ მომხდარიყო უფრო უარესი, არ განხორციელებულიყო საუკუნის ღალატის ჩანაფიქრი, — ენგურის ზემო და ქვემო ხეობათა შეხლა... დიახ, იყო ასეთი „სახელმწიფო პოლიტიკა“ და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმა, რაც „ქვეყნის უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების მიღების აუცილებლობით“ საბუთდებოდა.

...და ბოლოს, შემოჩეჩებული ამ ხმაბოდვის საპირწონედ იმის მტკიცება, — არა, მეგრელები არ ვართ „ექსპერტ“ გია არეშიძის შეფასების დარად მოსააზრებელი თქვა, ისეთივე ხელგამოღება იქნებოდა, კაცს აქლემი დაუძახო და მერე იმან ამტკიცოს, არ ვარ აქლემიო!...ამიტომ, ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ ნაცად მესაძირკვლე სამეგრელოზე გია არეშიძის ცილისწამების საპირწონედ სათანადო წყაროების მოხმობა ამ მხრივ არც მიზნად დამისახავს

**ქართველი ვარო, რადგან ჯერ ერთი, — დაკითხულმა იცოდა, რა მიზნითაც ეკითხებოდნენ, რომ ეს იყო მტრის შემოძღოლა ერის შეუგინებლობათა გასაუპატიურებლად და მეორეც, აი, როგორ სწავლებას ემოწაფება თავის ვინაობასთან, ანუ ღვთის**მშობლისწილხვედრილობასთან, მაშასადამე, ქართველობასთან დროსა და სივრცეში ჩაუჭრელი სამეგრელო. *„დასახვრეტად მეც რომ გამიყვანონ ზემო ბარღებელი 90 წლის პედაგოგის, აკაკი ცობეხიას დარად, გარშემო ქართული წიგნები შემომიწყონ დაბორკილს, ბენზინი მოასხან და დამემუქრონ, თქვი, ქართველი არ ვარ, მეგრელი ვარო, დიდი ფშავლისა არ იყოს, „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადად“ ამოვიხრიალებ: მე ქართველი ვარ, ქუგვალე ჩკიმ საქორთუოს, კუჩხიბედინერო ქოფედა თოლიგე დო შურიგე ჩქიმ!..“*

ახლა იქეთ ვეკითხები „ექსპერტ“ გია არეშიძეს, ესმის მას ამ სიტყვების შინაარსი? იმშობლიურებს და იერთსხეულებს მათ? ცხადია, არა! აი, სად არის საფრთხე, ბატონებო!

...ისე, ცნობისათვის: იგი რომ ათასწლეულებს მიღმა ისიგრძეგანებდეს თავისი ვინაობის ათვლას, მიხვდებოდა, რომ მის გვარს — არეშიძე — ს, სანამ „-ძე“ დაე-




და არცაა საჭირო. ასეთ წინგაუხედაობებს დიდმა ილიამ 1876 წელს ზემოთხსენებულ წერილში და 1903 წელს სოხუმში საზოგადოებასთან შეხვედრაზე (და არა მხოლოდ მაშინ) გასცა პასუხი. კაცი, რომელიც ასეთ საკითხებს წაეპოტინება, ეს უფალსწვდენილი მემკვიდრეობა წინასწარ უნდა დაიკონსპექტოს.

მოკლედ, სულ სხვა, უფრო ნაცადი თემშარით გავინაბიჯოთ წინ — 1992–93 წლების ჩვენთვის სამამულო ომში (რუსეთის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის ოკუპაცია), ოკუპანტთაგან განსაკუთრებული სისასტიკით მოთარეშე თოფოსნები, ეტყობა, მათზე უფრო ჭკვიანთაგან დაგეშილები, **დატყვევებულ ქართველებს ჩაამწკრივებდნენ და მათგან „ა“-ზე დამთავრებული გვარის მქონეებს ეკითხებოდნენ, — რა ეროვნებისა ხარო!**

მიანიშნებდნენ, რომ თუ უპასუხებდნენ, მეგრელი ვარო, ცოცხალს დატოვებდნენ.

**ჰოდა, როგორც ბატონი გია არეშიძე ამბობს, ის „ძნელადდასაინტეგრირებელი“ მეგრელობა არად დაგიდევდათ უეჭველი სიკვდილის საფრთხეს და ხმაგაუბზარავად პასუხობდა, —**

მატებოდა, ძველლაზური დაბოლოება ჰქონდა — „ში“ (ღამურას (აკ. წერეთელი) სინდრომი, ანუ საკუთარი წარმოშობის გმობა).

**ნეტავ გაცოდინათ, რა დაწვრილებით მახსოვს, ვინ როგორ და რისი დაგირავების ფასად, არც ისე წარსულში, ჩვენი სამშობლოსთვის სულის ამომრთმევთა კიბეებს რომ ლამის ენით ლოკავდა.**

**კიდევ უფრო შემზარავია, — ჩემი შურობუმუს ჯვარზე გაკვრისას თუ როგორი მოხალისეობით იდებოდა დახლებზე სული, ეშმაკს როგორ უდგებოდნენ ხელისბიჭად და, რაც მთავარია, როგორ დაუგვიანებლად მოჰქონდათ ლურსმანი და ჩაქუჩი ამ ვათანძარებს.**

**ზვიად გამსახურდია მოითხოვდა, სამშობლოს ნამუსი შევუნახოთო!**

**ნამუსი, ცხადია, შევუნახოთ უნდა, მაგრამ როდესაც ვიღაცას თვითდასამკვიდრებლად კვლავ წასცდება ხელი ჩაქუჩისკენ და ლურსმნისაკენ, მაშინ თვითონ მისთვის ხელების მილურსმვა არ იქნება ვაშინერსის გადაბიჯება, რადგან ქვეყნის ქუდზეკაცობა საველე-სასანგრო წესით უნდა აზროვნებდეს დღეს!..**

3–7ივნისი, 2020 წ.

# დევი ჭანკოტაძე ერთ-ერთი იმ ნაძირალათაგანი გახლავთ, რომლებმაც მთელი სამხედრო ტექნიკა უბრძოლველად ჩააბარეს რუსებს

← 11 გვ.



ვიქტორ ჭელიძეა, უმუშევარია და შიმშილით კვდება.

ნიკა ბერიძე: სენაკის ბაზის დანაყოფი ჩამოიყვანეს ცხინვალში, რომლის მეთურიც იყო კიკაბიძე, მაგრამ ეს ნაძირალა თავისი ბრიგადის მებრძოლებთან კი არ იყო, მიატოვა ისინი და სხვაგან შეძვრა, რაც უკვე დანაშაულია. არ შეიძლება შენი სამხედრო დანაყოფი მიატოვო და სხვებთან დადგე. ის ვაი-მინისტრი კეზერაშვილი რომ ჩამოვიდა შიდა ქართლში (ჯერ ხომ საერთოდ, ძლივს ჩამოათრიეს უცხოეთიდან), ნარკოტიკების ისეთი თრობის ქვეშ იყო, ხელი ვერ გააქანა, დაცვის წევრებს ეჭირათ, თორემ ფეხზე ვერც გაჩერდებოდა. კეზერაშვილი „კაიფში“, ეს ჭანკოტაძე ნასვამი, სხვა ე.წ. მეომარ ჩინებზე აღარაფერ ვამბობ, შიშისგან „წაშლილები“ იყვნენ, იმიტომაც ლოთობდნენ და „კაიფობდნენ“. ისე, კეზერაშვილსა და სააკაშვილს არ ეშინოდათ, რადგან რუსებთან შეთანხმებულები იყვნენ, თორემ სააკაშვილის გაგორებას რა უნდოდა. ამ ქვეყნის მტრებსა და მოღალატეებს, ვინც ჩვენს ქვეყანასა და პირადად ჯარისკაცებს დაუშავა, „ქართულ ოცნებამ“ კორიდორი გაუხსნა და უპრობლემოდ გაუშვა უკრაინაში. მივმართავ მოქმედ ხელისუფლებას, ანუ ჩემს ხელისუფლებას ის ხალხი, ვინც ჩამოვთვალე 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ჩამოვლენ საქართველოში და ჩვენს საწინააღმდეგოდ აუცილებლად გაისვრიან. მათ იმდენი ტყვია-წამალი, იმდენი იარაღი აქვთ გადამალული ჯერ მარტო თბილისში, რეგიონებზე აღარაფერს ვამბობ და ეს გასაიდუმლოებული აქვთ. პირობითად ავიღოთ აგარაკები, თქვენ თბილისში რომ ხართ, ამ დროს შეიძლება ვინმე თქვენს აგარაკზე ჩუმად მივიდეს და მოიწყოს თავშესაფარი.

დავუბრუნდეთ ჭანკოტაძის პერსონას, ეს ის ადამიანია, რომელმაც სააკაშვილთან, კეზერაშვილთან, ბოკერიასთან, უგულავასთან ერთად ჩააბარა, გაყიდა ჩვენი ქვეყანა. დღეს შორი თუ ახლო წყაროებიდან გვესმის, რომ ეს დევი ჭანკოტაძე უნდა მოვიდეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატად და მორალი გვიკითხოს. ჯერ ერთი ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს, მაგრამ თუ იგი პარლამენტში შევიდა, ჩათვალეთ, რომ ყველა ღირსეულ მოქმედ ძალოვანს, განსაკუთრებით სამხედრო პირს, ასევე ყოფილ ძალოვანებს პრობლემები შეექმნებათ, პირობითად, ეს დახმარება იქნება, ვეტერენის სტატუსის აღდგენა თუ სხვა. დავუშვათ, მე სამსახურში დაბრუნება მოვინდომო, ჩემს ვინაობას რომ გაიგებს, როგორ წარმოგიდგენიათ „პარლამენტარი“ დევი ჭანკოტაძე იმას იტყვის, ნიკუშა ბერიძე ძალოვან სტრუქტურაში დააბრუნეთო, გამორიცხულია. ჭანკოტაძე ნაცებს სააკაშვილის პრინციპებისა და იდეების პირდაპირ გამტარებლად ჭირდება თ. ვიმეორებ, ჭანკოტაძის კანდიდატურა იმიტომ წარადგინეს ნაცებმა, რომ იგი შედარებით ნაკლებად გამაღიზიანებელია, მაგრამ იგი 2008 წლის ომის დროს, სამშობლოს ღალატის ერთ-ერთი უშუალო მონაწილეა, რომელიც პარლამენტში კი არა, განსასჯელის სკამზე უნდა იჯდეს. ყველა, ვინც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას და პასუხისმგებელი იყო ომის დროს, ყველა დასასჯელია, მაგრამ მათი ნაწილი პარლამენტში ზის და არც სხვები ემდურებიან ბედს. გიგი კალანდაძეს ახლა ვერ ჩამოიყვანენ ნაცები, თორემ მისი გადეპუტატებაც ენდომებათ. სააკაშვილის ამ „ვარსკვლავბიჭუნას“ გარკვეული პრობლემები ჰქონდა, ეს არის ხელისშემშლელი პირობა, თან უკრაინიდან პოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებს. ისე, კალანდაძეს თვითონ ეშინია ჩამოსვლის, თორემ დარწმუნებული ვარ, რომ ჩამოვიდეს, ეს ხელისუფლება არაფერზე შეედავება. მე ადრე დავწერე სოციალურ ქსელში ვინ იყო და რას წარმოადგენდა კალანდაძე და ვისი დამსახურება ამ ე.წ. გენერლის კარიერა. ჩვენ დიდი სურვილია, რომ არ შევიდეს ის ხალხი საკანონმდებლო ორგანოში, ვინც ქვეყნისა და ჯარისთვის ძალიან ცუდი გააკეთეს.



შსს და კერძოდ ჩვენი სამსახური (კუდი) ცხინვალის რეგიონში მივლინებული ვიყავით, როგორც პოლიციური ძალა, იქ ძირითადი ბირთვი თავდაცვის სამინისტრო იყო. ძირითადად მისი დანაყოფები იყო იქ, ასევე ლოჯისტიკის სამსახური და თავად გენშტაბი. საერთოდ სამხედრო წესდებაში დევს, რომ დიდ რეგიონებში კურირებასას ახორციელებს და მთლიანი რესურსი ჩადებული აქვს თავდაცვის სამინისტროს. ამდენი დანაკარგი გვქონდა ნაცების გამოისობით, როცა ამხელა სს-ის დანაშაულია ჩადენილი, როცა ეს ვაჟბატონი ჭანკოტაძე იყო გენშტაბის ხელმძღვანელი, კეზერაშვილი მინისტრი იყო, გასაგებია, მას რომ არ ეკარებიან, გასაგებია, მაგრამ ჭანკოტაძესთან ერთად პასუხს რატომ არ სთხოვენ კეზერაშვილის მოადგილეებს დავით სიხარულიძესა და დიმიტრი შაშკინს? გეკითხებით, რატომ არ თხოვენ მათ პასუხს თუნდაც კოდორის ხეობის ჩაბარებასთან დაკავშირებით?

ნაცები გაფაციცებული მუშაობენ მოქმედი ხელისუფლების კომპრომატების მოძიებაზე, კომპრომატია აბა, სხვა რა არის კრიმინალური დეპარტამენტიდათვის ვადაში ექვსი მაღალჩინოსანი რომ გაგექცევა მერაბიშვილთან. მოკვლევაც კი არ ჩაუტარებია სამინისტროს გენინსპექციას, რატომ წავიდა სამსახურიდან ეს უამრავი ინფორმაციის მქონე ხალხი. რამდენი ასეთი ჩანერგილია უსაფრთხოების სამსახურში თუ საგადასახადო შემოსავლების სამსახურში, რომელზედაც დგას სახელმწიფო ვიცით?!

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# კანონი გარყვნილთა ტოტალური დიქტატურის დასამყარებლად

1775 წელს ფრანგი გამომგონებელი დიუ პერონი ცდილობდა მეფე ლუდოვიკო მეთექვსმეტესთან შეხვედრას. მისი მტკიცებით ამ შეხვედრაზე დამოკიდებული იყო სახელმწიფოს მომავალი. ის ამბობდა რომ მას სურდა თავისი სათქმელის თქმა მხოლოდ თვითონ მეფისთვის. მონარქი დათანხმდა მის მიღებას. სასახლის ბაღში, სადაც მოხდა შეხვედრა, დიუ პერონის თანაშემწეებმა შეიტანეს რამოდენიმე კარგად დაჭედილი ყუთი და წავიდნენ. გაირკვა რომ დიუ პერონმა გამოიგონა იარაღი რომელიც დააჩოქებდა ნებისმიერ მოწინააღმდეგეს. მეფეს ამიერიდან შეეძლო საფრანგეთის საზღვრების გაწევა ისე როგორც მას მოესურვებოდა. დიუ პერონმა მოიგონა თანამედროვე ტყვიამფრქვევის წინაპარი. მას შეეძლო ერთდროულად 24 ტყვიის სროლა. ამ იმდროისთვის არნახული ძალის იარაღით ლიუდოვიკო მეთექვსმეტეს შეეძლო მთელი ევროპის დაპყრობა, მაგრამ ქრისტიანულ ტრადიციაზე აღზრდილმა მეფემ ჩათვალა რომ ეს იარაღი არღვევს რაინდული ბრძოლის პირობებს და ამ იარაღით შეიძლება უიარაღო სუსტი ბერიკაცების, დედაბრების და ბავშვების დახოცვაც რაც უპატიებელი დანაშაული და ცოდვაა. მეფემ არ მოინდომა ტყვიამფრქვევი, იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი და მისი გამომგონებელიც მას მერე არავის უნახავს თვალით. ასეთ მეფეს მოკვეთეს თავი გამხეცებულმა ფრანგმა რევოლუციონერებმა და დაიწყო ინდივიდუალისტური და ინდუსტრიული რევოლუციების პერიოდი რომელმაც მიგვიყვანა იქამდე რომ ნობელის პრემიებს ურიგებენ ანუ უდიდეს პატივს სცემენ ქიმიური და ბირთვული იარაღის გამომგონებლებს. კონსერვატორების აზრით ინდივიდუალისტურ-ინდუსტრიული რევოლუციები სპობენ ბუნებრივ თემებს და ბუნებრივ საზოგადოებებს. ამ რევოლუციების შედეგად კონკრეტული, ემოციური, გრძნობებით და მორალური მოვალეობებით სავსე ურთიერთობებით გამორჩეულ საზოგადოებებს ცვლის, მათ ადგილს იკავებს მექანიკური, მეწარმეთა, მყიდველთა და მყიდველ-გამყიდველ კომერსანტთა, მუშათა მერკანტილური გულცივი საზოგადოებები. ამ საზოგადოებათა წევრებს ამოძრავებს ინტერესები და ანგარება და არა ადამიანებს შორის სიყვარულის ასე თუ ისე მქადაგებელი ქრისტიანობა. ურთიერთობები რომლებიც გარკვეულ ადგილს და უფლებებს აძლევდა ბუნებრივ უთანასწორობებს და ერთმანეთთან აკავშირებდა გულებს შეიცვალა ლიბერალური ურთიერთობებით რომლებიც ადამიანებს აუცხოებდნენ ერთმანეთისგან.საფრანგეთში, რომელიც ოდესღაც განთქმული იყო სლოგანით "თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა" მიიღეს კანონი ინტერნეტის ცენზურის შესახებ, რომლისადმი დაუმორჩილებლობა იწვევს სერიოზულ ჯარიმებს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც კი.

ერთი თვის წინ, იქ აკრძალა შეტყობინებები, რომლებიც "აჩაღებენ სიძულვილს რასული კუთვნილების, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, სქესის და ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე", იკრძალება ასევე სექსუალური ძალადობის შემცველი პუბლიკაციები. ასე რომ, ჰომოსექსუალისტებისა და ფემინისტებისკენ მიმართული ნებისმიერი კრიტიკული განცხადება და ქალბატონებისადმი კომპლიმენტებიც კი შეიძლება ჯარიმის ან დაპატიმრების მიზეზი გახდეს.დღეს უკვე სასაცილოა იმისი გახსენებაც კი, როგორ წინასწარმეტყველებდნენ ჩვენი პოლიტოლოგები გლობალიზმის დასასრულს კორონავირუსის პანდემიის გამო. არადა პირიქით გამოვიდა — მოსახლეობა დააშინეს სტატისტიკით და შინაპატიმრობაში ჩაამწყვდიეს. გლობალისტებმა განახორციელეს თითქმის ყველა თავისი იდეა: ამერიკული საზოგადოება დაქოქეს იმ დონეზე, რომ ააჯანყეს ტრამპის წინააღმდეგ და შემოიტანეს ციფრული საკონცენტრაციო ბანაკები რუსეთსა და საფრანგეთში. თანაც, თითქმის საიდუმლოდ, განხილვის გარეშე, რათა ხალხს ვერ მოესწრო თავისი აზრისა და დამოკიდებულების გამოხატვა. 2020 წლის მაისის შუა პერიოდში საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი "ინტერნეტში სიძულვილის გაჩაღების წინააღმდეგ". კანონი შეგიძლიათ წაიკითხოთ პარლამენტის ოფიციალურ საიტზე. როგორც RT იუწყება, კანონი ძირითადად მიიღეს მაკრონისა და ლიბერალების პარტიის დეპუტატებმა. სოციალისტებმა თავი შეიკავეს, რითაც დოკუმენტის მიღებას შეუწყვეს ხელი. წინააღმდეგ გამოვიდნენ მხოლოდ "ნაციონალური ფრონტი" და მარტოხელა კომუნისტები. რატომ მოუხმეს ამ კანონს თითქმის ღამის საფარველქვეშ? ყველაფერი მარტივადაა, — როგორც კი კანონი ძალაში შევა, ნებისმიერი, ვინც კი "ევროპული ღირებულებების" საწინააღმდეგოს იტყვის, იმწამსვე მიიღებს ან ჯარიმას 15000 ევროს ოდენობით ან ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას. ხოლო ის საიტი ან სოციალური ქსელი, რომელიც უარს იტყვის "სიძულვილის გამჩაღებელი" გამონათქვამის ამოღებაზე შეიძლება დაჯარიმდეს 1,25 მლნ. ევროს ოდენობით. "სიძულვილის" ან "საკუთარი თვალსაზრისის" გამომთქმელებზე თვალთვალი კანონმა დაავალა საუწყებო ჩინოვნიკებს CSA-დან, რომელიც გახლავთ



აუდიოვიზუალური საშუალებების უმაღლესი საბჭო, ასევე არაკომერციულ ორგანიზაციებს და "მართალ მოქალაქეებს", რომლებსაც უფლება აქვთ საჩივრები შეიტანონ CSA-ში. ადამიანების ციხეში ჩასმა "მტკიცებულებების" ისეთი ბაზით, როგორიც არის დეპარტამენტში მომუშავე დეიდების და ბიძების "შეხედულებები" — იურიდიული ნონსენსია. იმ შემთხვევაში, თუკი დადასტურდება "შემოსული საჩივრის საფუძვლიანობა", ყველა ონლაინ-პლატფორმა ვალდებულია დაუყოვნებლივ, საჩივრის შემოსვლიდან 24 საათის განმავლობაში ამოიღოს საჯარო შეტყობინებები, რომლებიც აღვივებენ სიძულვილს რასულ კუთვნილებასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, სქესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. იგივე ეხება სექსუალური "იძულების" (მაგალითად კომპლიმენტი) ფაქტებს. როდესაც იცი, რომ ნებისმიერი პუბლიკაცია, სტატია ან პოსტი, რომლებშიც პედერასტებზე, ტრანსგენდერებზე ან ფემინისტებზე აღფრთოვანებულ ტონებში არ მსჯელობენ, იწვევს ისტერიას ჰომოფობიაზე და სიძულვილის გაღვივებაზე, ეჭვიც არ უნდა დაგვრჩეს, რომ ისინი ამ კანონს სრული ძალით გამოიყენებენ. შედეგად მიღებულია კანონი გარყვნილთა ტოტალიტარულ დიქტატურაზე, სადაც სიმართლის ან დიალოგის ნაცვლად, არის მხოლოდ უმცირესობის შეხედულება. სხვათა შორის, "სიტყვის თავისუფლება" თითქოსდა დაცულია და ჰომოდიქტატურის ყველა მოწინააღმდეგეს აქვს უფლება გამოთქვას თავისი აღშფოთება საძინებელ ოთახში, ღამით, საბნის ქვეშ. ხოლო იმათ, ვინც გამბედაობა მოიკრიბა და ღიად ისაუბრა ამ გარყვნილებებზე, კანონის მიხედვით იმწამსვე უნდა დაასმინონ პოლიციის კიბერდამნაშავეობის განყოფილებაში. ჩამშვებები "უმცირესობიდან" მიზეზთა ძიებაში რომ არ დაიღალონ, კანონი ითხოვს განხორციელდეს "საჩივრის შემოტანის ელექტრონული ფორმა და უზრუნველყოფილ იქნას საჩივრის შეტანის სხვა მეთოდების შესაძლებლობაც", ანუ გააკეთონ ღილაკი "ვასაჩივრებ"; ასევე უნდა ჰყავდეთ კანონიერი წარმომადგენელი საფრანგეთის ტერიტორიაზე, რათა შესაძლებელი იყოს ვინმეს დაპატიმრება ან ჯარიმის გამოწერა. ასე რომ, Infowars-ს, მაგალითად, და მის მსგავს საიტებს იქ ყოველგვარი განმარტების გარეშე დაბლოკავენ. გარდა ამისა ონლაინ-პლატფორმა უნდა იძლეოდეს "კონტენტის შემოწმების საკუთარი სტანდარტის ცალსახა გაგებას; ასევე უნდა წარუდგინოს CSA-ს თავისი შიდა ორგანიზაცია და რესურსები, რომლებიც გამოყოფილია არაკანონიერი კონტენტის ამოღების აღსასრულებლად". ანუ, არა მარტო ავტორები და მკითხველები უნდა ჩაუშვან პოლიციაში, არამედ ჩაატარონ "პროფილაქტიკური" სამუშაოებიც, რაც გულისხმობს "საეჭვო" ავტორების გაუქმებას ან ბლოკირებას. ამ დონემდე ჯერ ფეისბუკიც არ დასულა. კანონში ნათქვამია, რომ მათზე, ვინც "გამოსწორებას" არ მოინდომებს, ონლაინ-პლატფორმის მომხმარებლები ვალდებულნი არიან წარადგინონ ინფორმაცია საჩივრის შეტანის მიზეზებსა და ფაქტებზე, ასევე "სავარაუდოდ კანონსაწინააღმდეგო კონტენტის" ადგილმდებარეობაზე. თანაც, ამგვარი კონტენტის განსაზღვრის შესწავლას იქ ბუკვალურად სკოლის მერხებიდან დაიწყებენ. "სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე" უარის თქმა, მათ შორის მონაცემთა დამალვა, რითაც შესაძლებელია იმ პირის იდენტიფიცირება, ვინც ინტერნეტში "სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო კონტენტი" განათავსა, საიტებს 250 ათასი ევრო დაუჯდებათ ჯარიმის სახით. თუკი საიტი უარს იტყვის დაწესებულ ვადებში "კანონსაწინააღმდეგო მასალის" გატანაზე, თანხა 1,25 მლნ. ევრომდე გაიზრდება. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარების იდეა ახალი როდია. ჯერ კიდევ 2018 წელს გერმანიაში დააკანონეს, რომ სოციალური ქსელების მესაკუთრეებს ამიერიდან ექნებათ 24 საათიანი ვადა საჩივრის შემოსვლიდან, რათა ამოიღონ პოსტები, რომლებიც ღიად არღვევენ გერმანულ კანონმდებლობას, მათ შორის მოიაზრება "სიძულვილის გაღვივებაც". ამასთან გერმანული კანონი, არსებითად, დეტალურად ჩამოთვლის სისხლის სამართლის კოდექსის განყოფილებებს, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი "დაუშვებელი მეტყველება" ინტერნეტში. გერმანულ კანონმდებლობაში დაუშვებლად არის აღიარებული ბევრი რამ "ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებიდან" ვიდრე "რელიგიათა და რელიგურ თუ იდეოლოგიურ ასოციაციათა" დევნულებამდე. ინფორმაციის ნამდვილობის შემოწმება მიენდო "სუპერპატიოსან" არაკომერციულ ორგანიზაცია Correctiv-ს, რომელიც სხვადასხვა ფაქტების გაყალბებაშია შემჩნეული.

და აი, დიდი შარლ ბოდლერის ეს სიტყვები შესანიშნავად გადმოსცემენ ინდივიდუალისტურ-რაციონალისტურ-ეგოისტური დღევანდელობით გაგიჟებული ადამიანის რეაქციას: «მექანიკამ იმდენად გაგვაამერიკელა, პროგრესმა იმდენად დაადამბლავა ჩვენში სულიერი ნაწილი რომ სისხლიანი კომშარებიც, მკრეხელობებიც თუ უტოპისტთა ანტიბუნებრივი ზმანებებიც ვერ შეედრება ამ პოზიტიურ შედეგებს, მე ყველა მოაზროვნე ადამიანს ვთხოვ იმის ჩვენებას თუ რა დარჩა სიცოცხლისგან".



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# კელი დეგნანის წინასწარმეტყველებანი

## რუსეთი თუ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ჩაერევა, ცხადია, ჩაერევა ოპოზიციის სასარგებლოდ, თორემ „ქართულ ოცნებას“ პუტინის დასახმარებელი არაფერი ჭირს

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, კელი დეგნანმა ცოტა ისეთი განცხადება გააკეთა, თან ჩვეულებრივი, თან სკანდალური — მისი თქმით, სავარაუდოდ, რუსეთი საქართველოს არჩევნებში ჩარევას შეეცდება და თურმე ამ ალბათობას ის ფაქტიც ზრდის, რომ ჩვენი ქვეყანა პროპორციული სისტემისკენ მიიწევს:

“ჩვენ ყველამ ვნახეთ, თუ როგორი აქტიური და კრეატიულია რუსული დეზინფორმაცია, რომელიც ბევრ არჩევნებში ერევა და საქართველო აშკარა სამიზნეა. ამერიკა, ბრიტანეთი და სხვა საერთაშორისო პარტნიორები საქართველოს ეხმარებიან, რათა უკეთ შეაფასონ ის ინფორმაცია, რომელსაც იღებენ. მე არ მაქვს კონკრეტული მტკიცებულებები, თუმცა რუსეთი ალბათ შეეცდება საქართველოს არჩევნებში ჩარევას, განსაკუთრებით, როცა სრულად პროპორციული სისტემისკენ მიიწევს. ასევე, დიდი წარმატება იქნება, თუ საქართველო კარგი არჩევნების ჩატარებას შეძლებს და კიდევ გახდება მისაბაძი მაგალითი არამარტო ამ რეგიონში, არამედ სხვა რეგიონებშიც“.



ქალბატონი დეგნანი კი ამბობს, სავარაუდოდ ჩაერევაო, მაგრამ ამავე დროს აცხადებს, ამერიკა, ბრიტანეთი და სხვა ქვეყნები საქართველოს ეხმარებიან, რათა უკეთ შეაფასონ ინფორმაცია, რომელსაც იღებსო. ესე იგი, გამოდის, საქართველოს ხელისუფლებას უკვე აქვს ინფორმაცია, რომელსაც ამერიკელები და ბრიტანელები აფასებენ. შესაბამისად, კელი დეგნანსაც აქვს ინფორმაცია, რომ რუსეთი ჩვენთან გამართულ არჩევნებში ჩაერევა.

და რა არის აქ გასაკვირი? ნეტა რუსეთი მხოლოდ არჩევნებში ერეოდეს და სხვა მხრივ თავს გვანებებდეს. დიახ, რუსეთი აუცილებლად ჩაერევა და ეჭვიც აღარ არსებობს, რომ ჩაერევა ე.წ. ოპოზიციის სასარგებლოდ.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გახსოვთ? მაშინ ისიც გემახსოვრებათ, როგორ „გულაობდნენ“ გრიგოლ ვაშაძის რუსი პიარტექნოლოგები ვიტალი შკლიაროვის თამადობით. დიახ, ვიტალი შკლიაროვი, მაქსიმ კაცი, ირინა პრავნიჩენკო, ვერონიკა ბურენკოვა, ანა კუზნეცოვა, ვიქტორ სემენოვი და ევგენი რეშეტნევი რუსეთის ხელისუფლებამ გამოაგზავნა საქართველოში, რათა პრეზიდენტად თავისი კაცი დაესვა, რაც კინაღამ გამოუვიდა. სხვათა შორის, რუსების საარჩევნო ტექნოლოგია გაშიფრულია — სხვას უნდა დააბრალო ის, რაც ხარ თვითონ. გაიხსენეთ, რუსეთში გაზრდილ-დავაჟკაცებული და „დავერბოვკებული“ ვაშაძე სალომე ზურაბიშვილს ემახდა მოღალატეს და რუსეთის ინტერესების გამტარებელს. დაახლოებით ასე იქნება ახლაც — თავად მოღალატეები შეეცდებიან, ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ მოაქციონ „ქართული ოცნების“ კანდიდატები და ჩამოჰკიდონ რუსეთუმეთა იარლიყები.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალბატონ დეგნანის წუხილი, თუნდაც სავარაუდო, არ არის უსაფუძვლო, ეს ოხერი რუსეთი აშშ-ის არჩევნებში ერევა და ჩვენ ვინ ვართ? მართალია, დონალდ ტრამპთან დაკავშირებით გამოძიებამ დაადგინა, თურმე საეჭვო არაფერი ყოფილაო, მაგრამ გარკვეულ წრეებში მაინც ვარაუდობენ, რომ ჰაკერულ დონეზე ჩარევა იყო.

რაც შეეხება საქართველოს და ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, სადაც ერთად სხედან რუსეთის მოყვარული ნინო ბურჯანაძე, რუსეთში ოდესღაც „მოღვაწე“ ბაჩუკი ქარდავა, ასევე რუსეთში „მოღვაწე“ გრიგოლ ვაშაძე, რუსეთის მოქალაქე მამუკა გამყრელიძე, რუსეთში განათლებამიღებული ელენე ხოშტარია, რანაირად უნდა იყოს პროდასავლური ძალა? აი, ქალბატონმა დეგნანმა და იგივე ამერიკელებმა თუ ბრიტანელებმა კარგად უნდა გაიაზრონ, საიდან წამოვა საფრთხე.

მოკლედ, სიტუაცია ასეთია, ძვირფასო ამომრჩევლებო: ამ არჩევნების წინ ვინც ყველაზე მეტს იყვირებს, რუსი მოდის, რუსი მოდისო (და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია იყვირებს), სწორედ ის იქნება რუსეთუმე და პუტინის ნების აღმსრულებელი!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ღია წერილი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა!**

მოგმართავთ საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირის (ს/კ 400177651. 08.06.2016) სახელით, რომლის დამფუძნებულები არიან ყოფილი სოფლის მეურნეობის პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები, დარგის ცნობილ მეცნიერთა, პროფესიონალ-პრაქტიკოსთა, ფერმერთა და ეკონომისტთა სამივე თაობის წარმომადგენლები.

კავშირის მიზნები და ამოცანები გამომდინარეობს ქვეყანაში არსებული გამოწვევებიდან – სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სისტემური კრიზისის დასაძლევად, რაც გასაჯაროებულია მასმედიით, აგრეთვე ელექტრონულ- სოციალური ქსელებით და რომელიც მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს.

დღიდან დაარსებისა, კავშირი აქტიურად ჩადგა ქვეყნის უპირველესი ამოცანის – მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურში.

კორონავირუსის პანდემიის პირობებში, საზოგადოება იძულებული გახდა ახალი შესაძლებლობების ძიებით მოირგოს და შეეგუოს ამ რეალობას.

ჩვენდა საუბედუროდ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე, აგრარული სფეროს მიმართ დამოკიდებულება თავიდან უგუნურობით, შემდგომ დანაშაულებრივი ქმედებებით, ყოველწლიურად მკვეთრად უარესდებოდა. ყოფილი მთავრობის ეკონომიკის მინისტრის (2004–2005) მავნებლურ-კორუფციულმა პოლიტიკამ – “საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხებზე დავიკიდოთო” – ეს დარგი საბოლოოდ დაასამარა.

დღეს მოხმარებული სასურსათო პროდუქციის 80%-ზე მეტი იმპორტულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანასა და მის მომავალს. გაეროს რეზოლუციით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგება, თუ მოხმარებული სურსათის 20%-ზე მეტი იმპორტულია. საუბედუროდ, ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს ხელსაყრელი ბუნებრივ- კლიმატური პირობები და ინტელექტუალური პოტენციალი.

ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების, ახლებური მიდგომების გამოყენებით, შესაძლებელი იქნება არა მარტო დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები ეროვნული წარმოების, ბიოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქციით, არამედ უზრუნველვყოთ მისი ექსპორტიც და ექსპორტ-იმპორტის სალდოს მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. ჩვენსავით პატარა, ჩრდილოეთის ქვეყანის, **ნიდერლანდების** მსგავსად, საქართველოც შესაძლებელია ვაქციოთ მსოფლიოში აგრარული პროდუქციის უმსხვილეს ექსპორტიორად.

ჩვენს კავშირს გადაწყვეტილი ჰქონა დაეფუძნებინა **„საქართველოს აგრარული აღორძინების პარტია”**. დაინტერესებულთ გავაცანით პარტიის პროგრამული დებულებები და დასკვნები, რომლის სლოგანია – **„სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის აღორძინება გადაარჩენს საქართველოს!” საქართველოს აგრარული აღორძინება განხილული უნდა იქნეს, როგორც ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სოციალურ- ეკონომიკური პროგრამა, რათა საქართველო ჩამოყალიბდეს აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა ჩვენი უმთავრესი მიზნები: წელში გაიმართება სოფელი და სოფლის მეურნეობა, გადაიჭრება სასურსათო თვითუზრუნველყოფის, მიგრაციის შეჩერების, ქალაქსა და სოფელში ცხოვრების ხარისხის დაახლოების, ეროვნული ვალუტის დასტაბულირების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და, რაც მთავარია, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები.**

ჩვენ მზად ვიყავით პარტიის დასაფუძნებლად. სამწუხაროდ, მოძრაობის სპონსორების მხრიდან თავი იჩინა განსხვავებულმა მიდგომებმა, რის გამოც გავემიჯნეთ მათ. **არჩევნებისათვის გააქტიურებულმა რამოდენიმე პარტიამაც** შემოგვთავაზა მათთან გაერთიანება, დამაინტერესებელი პირობებით. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარით, რადგან არ გვჯერა, რომ ისინი მოინდომებენ ჩვენი პროგრამის განხორციელებას არჩევნების შემდეგ. ამიტომ დროებით, თავი შევიკავეთ ამ პარტიის დაფუძნებაზე და კვლავ განვაგრძობთ მოქმედებას „სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირის“ სახელით.

სრულიად ვუჭერთ მხარს მოდერნიზაციის გზით სოფლის გასაძლიერებლად საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ ბოლო დროს აღებულ კურსს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმის–„ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“– რეალიზებას და გამოვთქვამთ მზადყოფნას, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ გეგმის წარმატებით განხორციელებაში.

ბატონო ბიძინა, რადგან გვჯერა რა თქვენი, და თქვენ მიერ დაფუძნებული პარტიის საქმიანობის, კარგად ვიცნობთ თქვენ მიერ გაწეულ ქველმოქმედებებს, გასული წლის სექტემბრიდან ვითხოვთ, თქვენთან ჩვენი კავშირის (თუნდაც დარგის მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მცირე ჯგუფის) შეხვედრას, ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამის გასაცნობად, მაგრამ ვერ შევძელით. რამოდენიმეჯერ განცხადებითაც მოგმართეთ მმართველი პარტიის ოფისში, ასევე ვთხოვეთ თქვენი პარტიის აქტიურ წევრებს, რომლებიც შეგვპირდნენ და დღემდე ვერ მოგვიხერხეს თქვენთან შეხვედრის ორგანიზება. **საჩვენოთ არაფერს ვითხოვთ – არც დაფინანსებას, არც რაიმე თანამდებობებს**– გვინდა პირადად გაგაცნოთ ჩვენი კავშირის პროგრამა, მოწონების შემთხვევაში კი გთხოვთ, თქვენი პარტიის პროგრამას, მის დასახელებას გამოკვეთილად დაამატოთ – **”საქართველოს აგრარული აღორძინება”.** რაც მოგვცემს საშუალებას ჩვენი კავშირი და ჩვენი პროგრამის მხარდამჭერთა დიდი ჯგუფი არჩევნებში აქტიურად დავუდგეთ გვერდით „ქართულ ოცნებას – დემოკრატიულ საქართველოს“, პარლამენტში უმრავლესობით მოსასვლელად და იქ დესტრუქციული პიროვნებების მოხვედრის შესამცირებლად. **თქვენი მხარდაჭერით შესაძლებლი იქნება დასახული მიზნების განხორციელება – ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის კომპლექსური აღორძინება, შესაბამისი ინფრასტრუქტურების განვითარება, აგრარული სისტემური კრიზისის დაძლევა. რაც მოგვცემს საშუალებას ჩვენმა შვილებმა და მათმა თანატოლებმა უკეთეს ქვეყანაში იცხოვრონ.**

**ბატონო ბიძინა, ვიმედოვნებთ, რომ დროულად მოახერხებთ ჩვენ თხოვნაზე რეაგირებას.**

პატივისცემით,



**მურმან ქურიძე**

კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.

ტელ. 599 93 40 40.

**კავშირთან თანამშრომლობენ:**

აკადემიკოსები: **ნოდარ ჭითანავა, პაატა კოღუაშვილი, თამაზ კუნჭულია, ზურაბ ცქიტიშვილი, ომარ ქეშელაშვილი, ელგუჯა გუგუშვილი, გურამ პაპუნიძე**

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **რამაზ გახოკიძე (სახელმწიფო პრემიების ლაურიატი), ლია კვარაცხელია, მიხეილ ჯიბუტი, შოთა ჩხეიძე, პაატა გიორგაძე, ანზორ მესხიშვილი, ნიკოლოზ სულხანიშვილი, მარიამ ხოსიტაშვილი**

**ირაკლი გოგავა** – საერთაშორისო ექსპერტი სოციალურ საკითხებში

**გოჩა ცოფურაშვილი** – სოფლის მეურნეობის აკადემიის ექსპერტი

**ნიკოლოზ ჩხეიძე** – ქართული დიასპორის საერთაშორისო კოალიციის თავმჯდომარე

**დიმიტრი კოსტაროვი** – ტ/კ “საფერავი”

**შოთა მაჭარაშვილი** – ჟურნალ“ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქტორი

**ირინე ფოცხვერაშვილი** – საქართველოს ფერმერთა პოფკავშირების პრეზიდენტი

**დარიკო თოდრია** – სს საქართველოს ტუნგოს და ეთერზეთების გენერალური დირექტორი

**გურამ სალარაძე** – პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსის“არიერგარდის“ თავჯდომარე

**დენიზა სუმბაძე** – საქართველოს ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის ხელმძღვანელი

**ანზორ საკანდელიძე** – რეფორმატორთა კავშირის თავჯდომარე

**გიორგი მუხაშავრია** - ინჟინერ-გამომგონებელი.

# როგორ იქცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემქმნელი ჰარი უაიტი მოსკოვის აგენტად

ჰარი დექსტერ უაიტი ისტორიაში შევიდა, როგორც ომის შემდგომი მსოფლიოს ეკონომიკური მოდელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემქმნელი. ასევე, როგორც ადამიანი, რომელიც დიდი ხნისს განმავლობაში თანამშრომლობდა საბჭოთა დაზვერვასთან. იგი 1948 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა, იმ კომისიაში მისი საქმის მოსმენის დროს, რომელიც ანტიამერიკულ საქმიანობას იძიებდა.



ჰარი უაიტის ბიოგრაფია 1892 წლის შემოდგომაზე აშშ-ში იწყება. მისი მშობლები, ებრაელ-ლიტველი ემიგრანტები, ჯერ კიდევ ვაჟის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ჩავიდნენ ამერიკაში.

დემობილიზაციის შემდეგ ჰარი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ. სწავლის დასრულების შემდეგ მან დისერტაცია დაიცვა და ეკონომიკაში დოქტორის ხარისხი მოიპოვა. შემდეგ რამდენიმე წელი პედაგოგიურ მოღვაწეობას მიუძღვნა მანამდე, ვიდრე მთავრობაში სამუშაოდ არ მიიწვიეს. კარიერა უაიტმა რიგით სპეციალისტად დაიწყო და საკრედიტო საკითხებით იყო დაკავებული. მალევე მას მონეტარული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელობა მიანდეს, შემდეგ კი ფინანსთა მინისტრის, მორგენტაუს თანაშემწედ დანიშნეს.

ჰარი უაიტს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ომისშემდგომი მსოფლიო ეკონომიკის მოწყობისთვის. ბრეტონ-ვუდის კონფერენციაზე 1944 წელს იგი აშშ-ს წარმოადგენდა და დამაჯერებელ წარმატებასაც მიაღწია, როდესაც მისი დაბეჯითებული მოწოდებით მსოფლიო ვალუტად დოლარი აირჩიეს. გარდა ამისა, უაიტი იდგა მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შექმნის სათავეებთან, რომლებმაც მნიშვნელოვანი შეასრულეს ახალ ეკონომიკურ სისტემაში.

გამოჩენილი ეკონომისტი ამერიკის კომპარტიის წევრი არ ყოფილა. ამასთან, ის საბჭოთა კავშირის მიმართ სიმპათიით იყო განმსჭვალული, მიუხედავად ორ ქვეყანას შორის სისტემური განსხვავებისა. ორი ზესახელმწიფოს ხელმძღვანელების — რუზველტისა და სტალინის კარგ ურთიერთობებს იგი პლანეტაზე მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად თვლიდა.

საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობა უაიტმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. თავისი ქვეშევრდომების დახმარებით, რომლებიც ამერიკელ კომუნისტებთან იყვნენ დაახლოებული, მან გაიცნო რეზიდენტი იაკობ გოლოსი, რომელმაც დასავლეთში „ენ-კა-ვე-დეს“ აგენტურული ქსელი შექმნა. უაიტისგან საიდუმლო ინფორმაცია ჯაჭვურად მიედინებოდა გოლოსთან, ის კი მოსკოვში გადასცემდა. კარიერულ წინსვლასთან ერთად ჰარი მნიშვნელოვანი გავლენიან აგენტად იქცა და მისი ოპერატიული ფსევდონიმი „იურისტი“ გახდა.



როდესაც უაიტი ფინანსთა სამინისტროში ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობდა, მან იმას მიაღწია, რომ დამოუკიდებლად აეყვანა თანამშრომლები. მისი თანაშემწე გახდა საბჭოელების მიერ გადაბირებული ჰაროლდ გლასერი, რომელსაც მოგვიანებით ქვეყანაში სამხედრო წარმოების კურირება დაევალა. ის უაიტის უმნიშვნელოვანესი მემკვიდრე გახდა, მაგრამ არა ერთადერთი.

საბჭოთა დაზვერვისთვის ჰარი უაიტი ძვირფასი წყარო გახდა. დოკუმენტებისა და ზეპირი ცნობების გადაცემა ხდებოდა რეგულარულად, სრული კონფიდენციალობის დაცვით. ეკონომიკისა და ფინანსების საკითხების ინფორმაციიც გარდა, უაიტი ასევე აწვდიდა ცნობებს ამერიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკური განწყობების შესახებ, რომლებსაც საკუთარ კომენტარებს ურთავდა. იაპონიასა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებები მისი მონაწილეობის გარეშე არ ჩაშლილა და ამ ორ ქვეყანას შორის ომი გაჩაღდა. ამან არ მისცა იაპონიას საშუალება, გაეხსნა მეორე ფრონტი და საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთის საზღვრების დაცვის გარანტია მისცა. 1943 წელს კი უაიტმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩინეთის ლიდერს ამერიკული კრედიტი არ მიეღო, რადგან მას სსრ კავშირთან მტრული დამოკიდებულება ჰქონდა.

ჯერ კიდევ მუშაობის დასაწყისში უაიტი გამოაშკარავების საშიშროების წინაშე დადგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ფანატიკოსმა ჩემბერსმა, რომელიც კომუნისტურმა იდეალებმა იმედი გაუცრუეს, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გაწყვიტა. პრეზიდენტ რუზველტთან შეხვედრისას მან დაასახელა ის პირები, ვინც კომუნისტებს უთანაგრძნობდა. უაიტის სახელი მოხსენებებში არ ფიგურირებდა, მაგრამ არსებობდა ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროში გავლენიანი აგენტის არსებობის შესახებ. ამგვარივე სიტუაცია შეიქმნა 1945 წელსაც, როცა კომუნისტმა ბენტლიმ გადაწყვიტა, გამოძიების ფედერალური ბიუროსთვის მიეწოდებინა მისთვის ხელმისაწვდომი მთელი ინფორმაცია.



ჰარი უაიტის მიმართ გამოძიება მხოლოდ 1947 წელს დაიწყო, საერთტაშორისო სიტუაციის გამწვავებისა და თადარიგში მისი მოულოდნელი გასვლის შემდეგ. 1948 წლის ზაფხულში მან პირველად მისცა ჩვენება, გამოსვლის შემდეგ კი მას გულის შეტევა დაემართა. რამდენიმე დღის შემდეგ იგივე განმეორდა. 55 წლის უაიტი გულის საშუალებების გადაჭარბებული დოზის მიღების შედეგად გარდაიცვალა. ძნელია იმის თქმა, რა მოხდა სინამდვილეში — ეს თვითმკვლელობა იყო თუ მან მართლაც შემთხვევით მიიღო წამლის ძალიან დიდი დოზა.

დიდი ხნის განმავლობაში „იურისტის“ მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია გრიფით „საიდუმლო“ ინახებოდა, მხოლოდ 90-იანი წლების დადგომისას, როცა სპეცსამსახურების არქივები გაიხსნა, საბოლოოდ დადასტურდა საბჭოთა დაზვერვასთან ჰარი უაიტის თანამშრომლობის ფაქტი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

**ქალბატონ ლეილა ბარლიანს**

ჩემო ძვირფასო სიდედრო, გილოცავ იუბილეს, იხარე და იდღეგრძელე, შენს ლამაზ დიდ ოჯახთან ერთად

ბესო ცარციძე

დავალაგებ შეღავათიან ფასებში სახლებს, ოფისებს, ბინებს რემონტის შემდეგ და ა.შ.

599 80 82 31. ია

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001